
განათლების მუშაკი

№ გამოცემა საქართველოს განათლების მუშაკთა პავშირისა
ტფილისი
1928 12





ყვირილის ხეობა (ჰიათურა), სადაც იმყოფება მთელ დედამიწის ზურგზე უმდიდრესი მადანი შავი ქვისა (მარგანეცისა).

განთიადი

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ორგანო

პროფესიონალ-პედაგოგიური რედაქციის მისამართი: ორგანო ფარცხალაკის ქუჩა №3. განათლების მუშაკთა ცენტრალური გაეგმოგის მრკვირეული ორგანო ცენტრალური სახლი

№ 12 მარტის 15 № 12

პარიზის კომუნა

„კომუნის საიდუმლოება იმაშია, რომ ის მუშათა მთავრობა იყო".

მარქსი.

ნ 223

1871 წლის 18 მარტი უკვდავი და მეხსიერებიდან წარუხოცელი დატაა მთელი ქვეყნის ჩაგრულთა ლეგიონებისათვის, ვინაიდან ამ დღეს დაიწყო პარიზის პროლეტარიატის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც 73 დღის შემდეგ მშრომელ მასათა წამების, ხვრეტის და ჟლეტის ტრაღედიით უნდა დამთავრებულიყო.

უმუშევრობა, სიმშილი და ეროვნული გამყიდველობა, რომელსაც აშკარად სჩადიოდა ნაპოლეონ მე-III-ის მთავრობა, საკმარისი იყო, რომ მშრომელი მასა ბრძოლის გრძნობით ანთებულიყო და საკუთარი სისხლით მოეპოვებია სოციალური საშართლიანობის სამეფო.

ეკონომიურ კრიზისის წინაშე მდგომი მეფის მთავრობა ტერიტორიალურ ექსპანსიის გზით ფიქრობდა გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსვლას.

პატრიოტულ ლოზუნგებით დაწყებულ ომს გერმანიის წინააღმდეგ, თითქოს უნდა ეხსნა დინასტია, მაგრამ სედანთან მომხდარმა კაპიტულიაციამ არსებითად შესცვალა მდგომარეობა და ხელი შეუწყო კომუნის დამყარებას.

პარიზის პროლეტარიატმა საკუთარ ძალებით ჩაატარა სახელმწიფო წყობილების შეცვლა, მაგრამ რადგან მისი წინამძღოლები ბონაპარტის ციხეებში იყვნენ გამომწყვდეულნი და პრუსიელები კი პარიზისაკენ მიდიოდენ, ამიტომ მან რესპუბლიკის ბედი ჩააბარა „ეროვნულ თავდაცვის მთავრობას", რომლის სათავეში მოექცა ბურჟუაზიის ლიდერი ტიერი.

Библиотека-музей имени Акад. И. Гри... Академия наук

ამ მთავრობამ ნათელყო თავისი კლასობრივი პატრიოტიზმი, როდესაც საქმე მიდგა ხალხის შეიარაღებაზე.

„პარიზის დაცვა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი შეიარაღებულ იქნებოდენ მუშები, რადგან მხოლოდ ამათაგან შეიძლებოდა ნამდვილ სამხედრო ძალის შექმნა. პარიზის შეიარაღება კი რევოლუციის შეიარაღებას ნიშნავდა“-ო, ამბობს მარქსი და ამიტომ ლოლიკურია, რომ ტიერს წინააღმდეგობა უნდა გაეწია ამ საქმისათვის, თუმც მიუხედავად ამისა, მაინც ჩამოყალიბდა 250 ათასიანი გვარდია.

ამის შემდეგ ტიერს მხოლოდ ერთი გზა დარჩა—გზა გერმანეთის წინაშე კაპიტულიაციისა.

გვარდია ამხედრდა ამ პოლიტიკის წინაშე. ტიერი გაძვრა ვერსალში, გამაგრდა იქ და იწყო მზადება პარიზზე სალაშქროდ.

პარიზელები კი ვერსალზე შეტევის მაგიერ შეჩერდენ და ეს იყო მიზეზი, რომ ბოლოს საფრანგეთის დედა ქალაქი კომუნართა სისხლით მოირწყო.

შეტევის პარალელურად საჭირო იყო სახელმწიფო ბანკის და ყოველგვარ საუნჯის კონფისკაცია, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების აღკვეთა იმ რეაქციონერთათვის, რომლებიც გველივით სისინებდენ ყოველ კუთხეში. ამასთან ერთად აუცილებელი იყო სწორი პოლიტიკის წარმოება **გლეხობის მიმართ**, რადგან ამ მომენტმა გადამჭრელი როლი ითამაშა კომუნის ხანგრძლივობაში.

პარიზის კომუნა საჭირო გაკვეთილი იყო ყველა შემდეგ რევოლუციებისათვის და კერძოდ ოქტომბრისათვის. ლენინი ამბობს: „ჩვენ უნდა მივბაძოთ არა მათ შეცდომებს, არამედ იმ გამარჯვებითი ნაბიჯებს, რომელნიც მოქმედების სწორ გეზს გვაძლევენო“.

რუსეთის პროლეტარიატმა სწორად გაითვალისწინა პარიზის ენტუზიზმტთა ყველა უარყოფითი და დადებითი მხარეები და ამის შედეგი იყო, რომ მისი ბრძოლა ასე ბრწყინვალედ დამთავრდა.

დღეს, კომუნის 58 წლის თავზე, ვიგონებთ რა გონების და ნების ბუმბერაზებს, გამოვსთქვამთ რწმენას, რომ სოციალისტურ მომავლისათვის მებრძოლნი შეუდრეკლად ივლიან კომუნართა მიერ დასახულ მიზნისაკენ.

ა. ხუბუა.

თესვის კამპანია და განათლების დაწესებულებათა ამოცანები.

თესვის კამპანია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი მეურნეობის ნაყოფიერი წინსვლისათვის, რომ არ შეიძლება მისი ჩატარება მივიღოთ ერთდროულ დაკვრითი ამოცანად. ის ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს. ჩვენში თესვის კამპანიის ჩატარება შედარებით ახალი რამ არის.

თესვის კამპანიის ჩატარებაში ჩვენმა: სკოლებმა, ქოხ-სამკითხველოებმა, კლუბებმა, სახალხო სახლებმა, წითელმა კუთხეებმა, სალიკვიდაციო, მცირემცოდნეთა და პოლიტგანათლების სკოლებმა, წრეებმა და სხვა საპოლიტგანმანათლებლო ორგანოებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ. თესვის კამპანია და საერთოდ ჩვენი მეურნეობის შემდეგი ნაყოფიერი წინსვლის აუცილებლობა პოლიტგანათლების ორგანოებს უყენებს მეტად რთულ და მძიმე ამოცანას, საჭიროა ამ უკანასკნელებმა მოწოდებას გამოეხმაურონ დინჯად და დავალება მტკიცედ გაატარონ ცხოვრებაში.

ვიდრე კონკრეტულ ძითითებებზე გადავიდოდეთ ილუსტრაციისათვის საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს მოკლედ გავაცნო 1926-27 წლის მოსავლიანობის დაზარალება ჩვენში. აღნიშნული წელი არ იყო მაინცა და მაინც ხელსაყრელი სოფლის მეურნეობისათვის. არა ხელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობების გამო ჩვენში ადგილი ქონდა ნათესის საგრძნობლად დაზიანებას და ნაწილობრივ კი (ზოგიერთ მაზრებში) სავსებით განადგურებას.

როგორც ნათესების დაზიანების გამომკვლევ საგანგებო კომისიის ცნობებიდან სჩანს, საქართველოში დაღუპულ ნათესების სიერცის რაოდენობა უდრიდა სულ 28.147 დესეტინას. საგრძნობლად დაზიანებულის კი—28.204 დესეტინას. ეს მოვლენა მეტად დამაფიქრებელია და მოახლოებულ თესვის კამპანიას კიდევ მეტ მნიშვნელობას აძლევს, მათ კი, ვინც ჩაბმულია თ სვის კამპანიის ჩატარებაში, თავისთავად ცხადია, კიდევ უფრო პასუხისმგებელს ხდის. საჭიროა მთელი ჩვენი ძალღონით ვებრძოლოთ ასეთ მოვლენების შემდეგში განმეორებას.

საკითხი იბადება: რაა საჭირო იმისათვის, რომ დაზღვეული ვიქნეთ ნათესის დაღუპვისაგან და რა ზომები უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენი მოსავალი კი არ ნადგურდებოდეს, არამედ იზრდებოდეს ყოველ წლიურად. ჩვენში მოსავლის სიმცირის მიზეზები, არა ხელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებთან ერთად, უნდა ვეძებოთ ისეთ ელემენტარულ მიზეზებში, რომლის თავიდან აცილება შეუძლია ყოველ მეურნეს, მაგ.: ნიადაგის შერჩევა, ნიადაგის განოყიერება, თესლის გადარჩევა, თესლის დაწამვლა, თესვის წესები, დროს შერჩევა მორწყვისათვის და სხვ. საუბედუროდ ამ ელემენტარულ წესებსაც ვერ ვასრულებთ ჩვენ, რაც თავის თავად ცხადია, უარყოფით გავლენას ახდენს მოსავლიანობაზე და საერთოდ კი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ამხ. სტალინმა პარტიის მე XIV ყრილობაზე მოკლედ განმარტა ქოხ-სამკითხველოს და სხვა საპოლიტგანმანათლებლო ორგანოების მოვალეობა ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითა-

რების საქმეში და მოუწოდა მათ დამაბრკოლებელ მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ამრიგად პოლიტგანათლების ორგანოებს მართებს დროზე შეუდგენ თესვის კამპანიის სამზადისს და მიაწოდონ გლეხობას საჭირო და აუცილებელი ცნობები. აქ სკოლას დაუფასებელი დახმარების გაწევა შეუძლია. კონკრეტიულად კი საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შემდეგ საკითხებს:

1) სათესლეს დაგროვება (მით უმეტეს იმ მაზრებში, სადაც ნათესების ნაწილი სავსებით იყო განადგურებული, მაგ. ტფილისის, დუშეთის, ახალქალაქის, ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, ლეჩხუმის და შორაპანის მაზრებში). თესვის დაგროვება ხდება აგრონომიულ პუნქტების დახმარებით. საჭიროა გლეხობა გაეცნოს დაგროვების წესებს და დროზე მიიღოს სათესლე.

2) თესლის გადარჩევა.

თუმცა ჩვენში თანდათანობით ვითარდება თესლის გადარჩევა, მაგრამ ჯერჯერობით მასიური ხასიათი მაინც არ მიუღია. თესლი შეიძლება გადარჩეულ იქნეს ხელით, მაგრამ არსებობს აგრეთვე ეგრედ წოდებული თესლის სარკვევი ბანქანები. საჭიროა გლეხობას (და სკოლებში მათ შვილებს) განემარტოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თესლის გადარჩევას და როგორი წესით შეიძლება თვით გადარჩევის მოხდენა. (დაწვრილებით იხილე. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის გამოცემაში „თესლის გადარჩევის წესები"). მაზრებში არსებობს თესლის საწმენდი პუნქტები. უნდა დავუახლოვოთ ამ პუნქტებს გლეხობა. როგორც მეცნიერული გამოკვლევა და პრაქტიკა ამტკიცებს, თესლის გადარჩევა მოსავალს ადიდებს, დაახლოვებით, ათი პროცენტით. მაშასადამე აქედან ჩვენი ლოზუნგი უნდა იქნეს: **„არც ერთი დესეტინა არ უნდა დაითესოს გადაურჩეველი თესლით"**.

3) თესლის წამლობა. როგორც გამოცდილებიდან ვიცით გუდაფშუტა და სხვა მრავალი მავნებლები ჩვენი ნათესების საშინელი მტერია. ხშირია შემთხვევა, როდესაც ის სავსებით ანადგურებს ნათესს. საჭიროა მის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა. გუდაფშუტა მეტად წინდახედულ ბრძოლას მოითხოვს. ბრძოლაში კი გამოგვადგება მხოლოდ ცოდნა-ეს ცოდნა უნდა მივცეთ მეურნეს, ის უნდა დავაყენოთ სწორ გზაზე. მეცნიერება მიგვითითებს და გვირჩევს ფორმალინის საშუალებით თესლის წამლობას. თესლი მიწაში ჩაგდებამდე ფორმალინის საშუალებით განთავისუფლებული უნდა იქნეს სენის ჩანასახიდან, რაც ჩვენს მოსავალს ერთხელ კიდევ დაახლოვებით 10 პროც-ით გაზრდის. მაშასადამე ჩვენი მიზანი უნდა იყოს: **„არც ერთი უწამლო მარცვალი არ ჩავარდეს მიწაში"**. ფორმალინით წამლობა სათანადო გაცნობის და შესწავლის შემდეგ დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს (ფორმალინის წამლობის ელემენტარული წესები იხილეთ მიწსახკომის სოფლის მეურნეობის მავნებლობასთან მებრძოლ ბიუროს გამოცემაში **„უწამლეთ თესლს ფორმალინით"**).

4) ნიადაგის შერჩევა და ნიადაგის გასუქება. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ნიადაგის შერჩევას და ნიადაგის გასუქებას მოსავლისათვის, ვიდრე სათესლეს შერჩევას და მის წამლობას. ჩვენი მოვალეობაა, რაც შეიძლება ფართოდ გავავრცელოთ ცოდნა ნიადაგის შერჩევის და მისი გასუქების აუცილებლობი-

სათვის. უვიცობა ამ დარგში დიდად ვნებს ჩვენს მეურნეობას. ქოხ-სამკითხველომ სასოფლო სამეურნეო წრის საშუალებით ლიკვიდაცია უნდა უყოს ასეთ უვიცობას. ხშირია შემთხვევა, როდესაც მეურნე-გლეხს აქვს საშუალება გაასუქოს მიწა,—მაგრამ არ იცის ამის წესები, ჩვენი ძოვალეობაა—გავაცნოთ მას ეს წესები. არსებობს სათანადო სპეციალური გამოცემები; საჭიროა ასეთი ლიტერატურის შერჩევა და მისი მოსახლეობის სიღრმეში გადატანა და მასთან ერთად ამ თემებზე მასიური ლექციების და სჯა-ბაასების ძოწყობა, რაც თავდები იქნება მოსავლის გაუმჯობესებისა.

5) ჩვენი სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და განმტკიცება. ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ნაყოფიერად წინ სვლა მთელი თავისი მნიშვნელობით გვიყენებს ჩვენ ამ ამოცანას. ეს ისეთი საკითხია, რომლის გადაჭრა წინასწარ არის გადაწყვეტილი. მრეწველობის ინდუსტრიალიზაციასთან ერთად უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. ეს უდავო საკითხია. მხოლოდ საკითხი ისმება მისი ტემპის შესახებ, აი ამას აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხში საპოლიტგანმანათლებლო ორგანოებს დიდი რამის გაკეთება შეუძლია.

საჭიროა ფართო პროპაგანდა-აგიტაცია, რათა ჩვენ მეურნეობაში ფართო ადგილი დაიკავოს მექანიკურმა შრომამ, ჩვენი მიზანი უნდა იყოს ადამიანის და ცხოველის ძალა სოფლის მეურნეობაში შევსცვალოთ მექანიკური ძალით, რასაც შედეგათ მოყვება: ა) შრომის ნაყოფიერების ზრდა და მისი ხარისხის გაუმჯობესება და ბ) დაამყარებს კავშირს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, ეს უკანასკნელი კი თავდებია სოციალისტური მშენებლობის ნაყოფიერი წინსვლის. ამ საკითხში უმთავრესი როლი ეკუთვნის კოოპერაციას. მაშ გლეხებს უნდა გააცნონ, რომ მისი მეურნეობის აყვავების აუცილებლობა მოითხოვს მის კოოპერაციაში ჩაბმას. კოოპერაციაში ჩაბმით კი ააყვავებს თავის მეურნეობას.

რომ თესვის კამპანია ჩატარებულ იქნეს წარმატებით, ჩემის აზრით საპოლიტგანმანათლებლო ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ დაახლოებით შემდეგით:

1) ახლავე შეუდგენ კამპანიის სამზადისს და შეარჩიონ და შეიძინონ საჭირო ლიტერატურა—პლაკატები, დიაგრამები და სხვა.

2) გამოყონ აქტივიდან რიგი ამხანაგებისა, რომლებიც მომზადებულ უნდა იქნენ სპეციალური მეცადინეობით და შემდეგ მიემაგრონ ისინი სოფლებს კამპანიის ჩასატარებლად.

3) ყველაზედ უფრო კარგი არის პრაქტიკული აგიტაცია, მაგალითის ჩვენება, ამისათვის სასოფლო-სამეურნეო წრის წევრების და ქოხ-სამკითხველოს აქტივისათვის სავალდებულო უნდა გახდეს თესლის გადარჩევა, თესლის წამლობა და სხვ.

4) იმ მიზნით, რომ გლეხობას დაუმტკიცოთ ზემოთ აღნიშნულის სარგებლიანობა, საჭიროა პოპულიარული წიგნების, ბროშურების, ხმამაღალი კითხვის გაძლიერება.

5) სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების და განმტკიცების პირველი საშუალება არის მისი მექანიზაცია და კოლექტივიზაცია. ერთეულად მანქანების შე-

ძენა წარმოადგენს დიდ სიძნელეს, ამისათვის ქ.-სამკ. უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები არტელების, კოლექტივების და კომუნების შესაქმნელად. სიტყვიერი აგიტაცია აქ არ გამოდგება. საჭიროა ციფრებით დაუმტკიცოთ მათ კოლექტიურ მეურნეობის უპირატესობა, რომ საკუთარი თვალით დაანახოთ გლეხს ეს უპირატესობანი, საჭიროა მოაწყონ მასიური ექსკურსიები მახლობელ კომუნებში.

6) თესვის და „გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის" რეალიზაციის კამპანია ხვდება ერთი და იმავე დროს (სესხის რეალიზაცია გრძელდება 30-III-დე) ამ ორ კამპანიის მიზანი თითქმის ერთი და იგივეა. საჭიროა ერთის ჩატარება დაუკავშიროთ მეორეს.

„მასწავლებლის კალენდარი"

ფასი ერთი მანეთი

ხელისმომწერლებს, რომელიც პირდაპირ რედაქციიდან გამოიწერენ ან შეიძენენ „მასწავ. კალენდარი" დაეთმობათ და გაეგზავნებათ რედ. ხარჯით **60 კაპიკად.**

მოკლე შინაარსი: 1—1928 სასწ. წლის კალენდარი; 2—დღიური შენიშვნების ჩასაწერად; 3—უბის წიგნი; **ცნობარი:** 4—მშრომელთა საერთაშორისო ორგანიზაციები (კომინტერნი, პროფინტერნი, კომპარტია და სხ.); 5—განათ. მუშაკთა წესდებიდან; 6—გან მუშ. კავშირის წევრების რაოდენობა მაზრობრივ; 7—სწავლა-განათლ. საქმე საბჭ. საქ. 1926/27 წ. (სტატ. ცნობები);

განათლ. მუშ. უფლებრ. და მატ. მდგომარეობა: 8—განსაკუთრებული შეღავათები განათ. მუშაკებს; 9—სოც. დაზღვევა და პენსიები; 10—შრომის გმირების შესახებ (საკავშირო მთავრობის დადგენილება); 11—საკავშირო პროფსაბჭოს ინსტრუქცია შრ. გმირობის წოდების მიღების შესახებ. **სსრკ. ადმინისტრაციული დაყოფა.**

მიხ. აპლეტინი.

განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის აღმასკომის მე III-ე სესიაზე.

განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის აღმასკომის მესამე სესიის მოწვევა, რომელიც შესდგა გასულ წლის 28-30 დეკემბერს, გადაწყვეტილი იყო საერთაშორისო პედაგოგიურ კონფერენციის ვენის კონგრესის მიერ. გენერალურ და პედაგოგიურ სამდივნოების საანგარიშო მოხსენებების გარდა სესიამ მოისმინა და მსჯელობა იქონია აგრეთვე მთელ რიგ მოხსენებათა გამო, რომელნიც ახასიათებდნენ მასწავლებელთა მოძრაობის მდგომარეობას შეძლებ ქვეყნებში: გერმანიაში, ავსტრიაში, ინგლისში, იტალიაში, ესპანიაში, პორტუგალიაში, შვეიცარიაში, ბულგარეთში, სამხრეთ-სლავიაში, რუმინეთში, საბერძნეთში, უნგრეთში, ჩეხო-სლოვაკიაში, პოლონეთში, შვეციაში, ნორვეგიაში, დანიაში, ფინეთში, ჰოლანდიაში და კოლონიალურ ქვეყნებში.

საგაზეთო წერილის პირობები საშუალებას არ იძლევა დაწვრილებით შევეხოთ საქმის ვითარებას ყველა დასახელებულ ქვეყნებში, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ მესამე სესიის დროისათვის განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის სექციების მდგომარეობა საგრძნობლად განმტკიცდა. საგრძნობლად განმტკიცდა გავლენა და გაიზარდა განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის წევრთა რიცხვი გერმანიაში, აღდგენილია კავშირი ესპანეთის სექციასთან. მისი ახალი აღმასკომი ინტენსიურად აწარმოებს მუშაობას. იქ მუშაობის პირობები არ არის ადვილი. ძნიმეა ნივთიერი მდგომარეობა, დიდია კლერიკალების გავლენა, რომლის დახმარებითაც სულდგმულობს პრიმო-დე-რივერას დიქტატურა და აუტანელია საცენზურო პირობები. მაგრამ კავშირის ახალ აღმასკომის ღონისძიებანი უკვე საგრძნობ შედეგებს იძლევიან მასწავლებელთა გაერთიანებისა და განათლების მუშაკთა ინტერნაციონალთან კავშირის დამყარების საქმეში. განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის ბიულეტენის გამოცემა ესპანურ ენაზე, ცხადია, საგრძნობლად უწყობს ხელს ამ საქმის მოგვარებას.

მუშაობის პირობები პორტუგალიაშიც მეტად მძიმეა. ძალაუფლება სამხედრო დიქტატურის ხელშია. მოსახლეობის 75% წერა-კითხვის უცოდინარია. მასწავლებელთა რიცხვი 11.000 უდრის. ამ რიცხვიდან 2000 ახალგაზრდა მასწავლებელი უმუშევარია და ვერც შოულობენ სამსახურს. მეტად მცირეა სამუშაო ხელფასი. მასწავლებლობა უკმაყოფილოა თავის ნივთიერ მდგომარეობით. ხელისუფლება მზადაა ყველა უკმაყოფილო ბოლშევიკად მონათლოს. ასე მოექცა იგი განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის პორტუგალიის სექციას, რომელიც მთავრობის მიერ გამოცხადებულ იქნა კომუნისტურ ორგანიზაციად: სექცია გარეკეს, ხოლო ხელმძღვანელნი (მათ რიცხვში განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის წევრი ამხ. პორტო, რომელიც საქართველოში იყო 1925 წელს მასწავლებელთა მეორე დელეგაციასთან ერთად) დააპატიმრეს. დაპატიმრებას ადგილი

ჰქონდა აგრეთვე პორტუგალიის მასწავლებელთა მეორე კავშირშიაც. ამ ჟამად პატიმარნი განთავისუფლებულნი არიან და აღდგენილია სექციაც. სესიამ მიიღო გადაწყვეტილება გამოაქვეყნოს წერილი ამ რეპრესიების გამო, გამოუცხადა თავისი სოლიდარობა მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ მებრძოლ განათლების მუშაკებს და მოუწოდა განეგრძოთ მუშაობა ამ მიმართულებით.

განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის იტალიის სექცია კარგა ხანია დანგრეულია. განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის აღმასკომის ერთერთ წევრს იტალიიდან ბრალი ედება სახელმწიფოებრივ ღალატში და მისი საქმე დაკავშირებულია ეგრედ წოდებულ, მილანის პროცესთან. სესიამ პროტესტი განაცხადა ფაშისტურ ტერორისა და სასამართლოს წინააღმდეგ. განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის გავლენა დიდად გაიზარდა სამხრეთ-სლავიაში. სადაც ინტერნაციონალის წევრთა რიცხვი 1500-ს აღემატება. მემარჯვენე ფრთა კამპანიას აწარმოებს მასწავლებელთა კავშირის შესასვლელად პაციფისტურ პედაგოგიურ ფედერაციაში. განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის მომხრენი კი ბრძოლას აწარმოებენ ამ გაერთიანების წინააღმდეგ. აღმასკომის სესიამ გადასწყვიტა გამოსცეს სპეციალური ბიულეტენი სერბულ ენაზე.



ცეზარ პორტო

პორტუგალიელი მწერალი და მასწავლებელი. 1925 წ. ენკენისთვეში (17—20) მისი თავმჯდომარეობით საქართველოს ეწვია განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის მეორე დელეგაცია.

ბულგარეთში, არსებულ ტერორის გამო მუშაობის პირობები ძალზე შეზღუდულია.

საბერძნეთში პროგრესიულ მასწავლებლობას, რომ არაფერი ვსთქვათ რევოლუციონურ მასწავლებელზე, ითხოვენ სამსახურიდან. დათხოვნილია მასწავლებელთა ორგანიზაციის აღმასკომი. „კანონი“ უფლებას იძლევა დაშლილად გამოცხადდეს ყველა ორგანიზაცია, რომელიც არ ეგუება სახელმწიფოს სულისკვეთებას. მთავრობის მიერ დანიშნულია ახალი თავმჯდომარე და ახალი წევრები აღმასკომისა, რომელნიც არც კი ითვლებიან მასწავლებელთა კავშირის წევრებად. იურისტებიც კი უკანონოდ სთვლიან ასეთ სისაძაგლეს. სასკოლო რეაქციის დასახასიათებლად შეიძლება აღვნიშნოთ ის, რომ სტუდენტები სწავლის ფულის დაკლების მოთხოვნის გამო უნივერსიტეტის გამგეობამ გადასცა დისციპლინალურ სასამართლოს. ანკეტებში მთელ რიგ საკითხებთან ერთად სტუდენტს ეკითხებიან, სწამს თუ არა მას უბიწო... ჩასახვა და განზრახული აქვს თუ არა მას ასწავლოს ისტორია მატერიალისტურ საფუძვლებზე. მიუხედავად ამ რეპრესიებისა საბერძნეთის ჯგუფი განათლების მუშაკთა ინტერნაციონალისა თანდათან მტკიცდება. მან გამოსცა გან. მუშაკთა ინტერნაციონალის წესდება ბერძნულ ენაზე, ჟურნალი „ახალი აღზრდა“. რეგულიარულად ათავსებს განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის ბიულეტენის მასალებს. ინტერნაციონალის მეგობართა ჯგუფში 100-ზე მეტი ამხანაგი ითვლება.

ამმასკომის სესიამ მოუწოდა საბერძნეთის განათლების მუშაკებს არ იცნონ ზევიდან დანიშნული ამმასკომი და იბრძოლონ ორგანიზაციის დამოუკიდებლობისათვის.

გაძლიერებულია კავშირი ჩემ მიერ ზემოდ დასახელებულ ყველა ქვეყნებთან. ამსტერდამის მიერ ცალკე მასწავლებელთა საწარმოო სამდივნოს დაარსებამაც ვერ შეაჩერა სიმპატიის ზრდა განათლების მუშაკთა ინტერნაციონალისადმი რეფორმისტულ ორგანიზაციის წევრ მასწავლებელთა მხრითაც. ეს ყურადღება და სიმპატია თანდათან იზრდება.

საფრანგეთის მასწავლებელთა ნაციონალურ სინდიკატის ყრილობაზე 37 ხმა (წინააღმდეგ 101-სა), მიცემული განათლების მუშაკთა ინტერნაციონალში შესვლის სასარგებლოთ, მაჩვენებელია სიმპატიების ზრდისა მასწავლებელთა ყველაზე დიდ და ძლიერ რეფორმისტულ ორგანიზაციის შიგნით (მისი წევრთა რიცხვი აღემატება 70.000-ს).

სავოის სინდიკატმა, რომელიც მასწავლებელთა ნაციონალურ სინდიკატში შედის, ამმასკომის სესიას მიმართა თხოვნით ჩაერიცხათ ისინი განათლების მუშაკთა ინტერნაციონალში. როგორც ვხედავთ, არა ერთეულები, არამედ მთელ საოლქო ორგანიზაციას სურს განათლების მუშაკთა ინტერნაციონალში შესვლა. ეს ხომ კარგი გაკვეთილია სინდიკატის რეფორმისტულ ბელადებისათვის, რომელთაც არ სურთ გაუწიონ ანგარიში მასის მოთხოვნილებას. ამმასკომის სესიამ გადასწყვიტა მიესალმოს სავოის სინდიკატის სურვილს, მაგრამ ამასთანავე აცნობა, რომ მთლიანობის დაცვის მიზნით განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის წესდება ნებას არ იძლევა ცალკე ჯგუფების შესვლისას, უკეთუ იმ ქვეყანაში, სადაც კი არსებობს ნაციონალური ორგანიზაცია, რომელიც შედის განათლების მუშაკთა ინტერნაციონალში. ამ გარემოების გამო განზრახულია ნაციონალურ სინდიკატს გაეგზავნოს წერილი მოწოდებით, რათა ამ უკანასკნელმა ზომები მიიღოს მთლიანობის აღსადგენად განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის საფრანგეთის სექციის შორის (საფრანგეთის მასწავლებელთა ფედერაცია).

განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის სწორი პროლეტარული ხაზის გამო თანდათან იზრდება ინტერნაციონალის მომხრეთა რიცხვი. ეს გარემოება ნათლად ადასტურებს განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის ბრძოლის პლატფორმის სისწორეს იმპერიალიზმისა, შოვინიზმის და კლერიკალიზმის წინააღმდეგ და მასწავლებლობის ნივთიერ და უფლებრივ ინტერესების დასაცავად.

სესიაზე აშკარა შეიქმნა აგრეთვე ის გარემოება, რომ განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის კავშირი პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ ორგანიზაციებთან თანდათან მტკიცდება და ფართოვდება. ასეთი ორგანიზაციაა ანტიიმპერიალისტური ლიგა, თავისუფალ მოაზროვნეთა ორგანიზაციები, ფრონტოველთა ორგანიზაციები. გაბმულია კავშირი ახალგაზრდა მასწავლებელთა მოძრაობასთან. განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის ხაზის სისწორით აიხსნება აგრეთვე ორი ახალ სექციის—ჩინურ (ხუპეის შრომის სკოლების მასწავლებელთა) და შოტლანდიისა (შოტლანდიის მასწავლებელთა სოციალისტური კავშირისა) სექციების დაარსება.

სამხრეთ ამერიკასთან მჭიდრო კავშირის დამყარებამ, რასაც ხელი შეუწყო ინტერნაციონალის ბიულეტენის გამოცემამ ესპანურ ენაზე, ის ნაყოფი გამოიღო,

რომ სამხრეთ-ამერიკის მასწავლებელთა ყრილობის მომწვევმა კომიტეტმა მიიპატიჟა განათლების მუშაკთა ინტერნაციონალი ყრილობის ძუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. სესიამ დაადასტურა გენერალურ სამდივნოს მიერ ამხ. ვერნოშესათვის მიცემული მივლინება კონგრესზე, რასაც უდავოდ მოყვება კავშირის განმტკიცება სამხრეთ ამერიკის ორგანიზაციებთან.

სესიამ გენერალურ სამდივნოს დაავალა წერილობითი მოლაპარაკების წარმოება ფრონტოველების ორგანიზაციებთან გაერთიანებულ გამოსვლის შესახებ ახალ იმპერიალისტურ ომის საშიშროებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალიზმის მიერ მოსალოდნელ გალაშქრების შემთხვევაში.

სესიამ მოისმინა მოხსენება სკოლებისა და მასწავლებელთა მდგომარეობის შესახებ ჩინეთში და დაადასტურა რა ხუბეის ორგანიზაციის შეერთების აქტი, საჭიროდ სცნო მოწოდების გაგზავნა ჩინეთის მასწავლებლობისა და სტუდენტობისადმი, რათა მათ ზურგი გაუმაგრონ გლეხებისა და პროლეტარიატის ბრძოლას იმპერიალიზმისა, მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის ახალ აგენტურის— ახალ კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ.

მიღებულია რეზოლუცია თეთრი ტერორის წინააღმდეგ ჩინეთში. მიღებულია დირექტივები სხვადასხვა ქვეყნებში მუშაობის წარმოების შესახებ და დამტკიცებულია გენერალურ და პედაგოგიურ სამდივნოების ანგარიში და ბიუჯეტი მორიგ კონგრესამდე.

საბოლოოდ დამტკიცებულია და შერჩეულია ვადა, დღის წესრიგი და მომხსენებელნი საერთაშორისო პედაგოგიურ კონფერენციაზე კონფერენცია შესდგება ლეიპციგში საგაზაფხულო არდადეგების დროს. მომხსენებლთა რიცხვში იქნებიან შემდეგი ქვეყნების პედაგოგები: გერმანიისა, საფრანგეთისა, საბჭოთა კავშირისა, ბელგიისა, იაპონიისა, ესპანეთისა, შვეციისა და ავსტრიისა.

კონფერენციის მოწყობაში მონაწილეობას ღებულობენ ლეიპციგელი პედაგოგები. მოეწყობა გამოფენა ლეიპციგისა და საბჭოთა კავშირის სკოლებისა და აგრეთვე სასწავლო ნივთების გამოფენაც. კონფერენცია უსათუოდ დააინტერესებს მასწავლებელთა ფართო ფენებს.

სესიამ მიიღო დღის წესრიგი მორიგ კონფერენციისა, რომელიც შესდგება ლეიპციგში პედაგოგიურ კონფერენციის დასრულების შემდეგ.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) გენერალურ სამდივნოს ანგარიში; 2) სკოლებისა და მასწავლებელთა მდგომარეობა და სასკოლო პოლიტიკის ძირითადი საკითხები სხვადასხვა ქვეყნებში; 3) პედაგოგიურ სამდივნოს ანგარიში; 4) ფინანსიური ანგარიში; 5) სოლიდარობის სალაროების შესახებ; 6) ახალგაზრდა მასწავლებელთა შორის მუშაობის შესახებ; 7) ახალი სექციების მიღება; 8) არჩევნები.

სესიამ პროფინტერნისაგან მიიღო მოწვევა პროფინტერნის კონგრესზე დელეგატის გამოგზავნის შესახებ. ასეთ დელეგატად არჩეულ იქნა გენერალური მდივანი ამხ. ვერნოშე.

აღმასკომის სესია იყო უდავო მაჩვენებელი განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის ცხოველმყოფელობისა და მანვე ცხადჰყო ამსტერდამის მასწავლებელთა საწარმოო სამდივნოს უსუსურობა. ეს უკანასკნელი ვერ შეაჩერებს განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის შემდგომ ზრდას. მასწავლებელთა და სკო-

ლების ნივთიერი მდგომარეობა და აგრეთვე სასკოლო პოლიტიკა ამ ბოლო წლებში ისეთია, რომ შეუძლებელია ამას არ მოჰყვეს მასწავლებელთა გაერთიანება პროლეტარულ კლასიურ საფუძველზე და მტკიცე კავშირის გაბმა მუშათა პროფმოძრაობასთან. ეს გარემოება კი მასწავლებელთა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც სდგას პროლეტარიატის კლასიურ პოზიციებზე, უდავოდ მიიყვანს განათლების მუშაკთა ინტერნაციონალამდე.

ბევრი დაბრკოლება გადაგვეღობება წინ ამ გზაზე, მაგრამ საქმე ღირს იმად, რომ ენერგიულად ვიმუშაოდ ამ მიმართულებით.

ვ. სტეშანოვი.

ტფილისის პოლიტგანის ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების მუშაკთა უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობა.

საქართველოს განათ. მუშაკთა კავშირის მიერ ტფილისის პოლიტგანთან დასადები კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი წინასწარ განხილული იყო ქ. ტფილისის ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მუშაკთა აქტივის კრებაზე, რომელიც შესდგა მიმდინარე წლის იანვრის დამდეგს.

ც. გამგეობის მიერ მიმდინარე წლის ხელშეკრულებაში შეტანილი იქნა მთელი რიგი მუხლების, რომელიც აუმჯობესებს ბიბლიოთეკისა და ქოხ-სამკითხველოების მუშაკთა ყოფა-ცხოვრებას.

იმატა მკითხველთა აქტივობამ და ამასთან დაკავშირებით გაიზარდა ის მოთხოვნილებები, რომელსაც ცხოვრება უყენებს დასახელებულ ჯგუფს მუშაკებისას მკითხველების ხელმძღვანელობის საქმეში.

მკითხველმა გაუსწრო ბიბლიოთეკარს რა იკითხოს და როგორი წესით; ერთი სიტყვით, კავშირის წევრების ყველა ჯგუფთა მკითხველების შეკითხვებზე პასუხის გაცემა და ხელმძღვანელობა ბიბლიოთეკარის საქმეა, ამისათვის კი საჭიროა ბაზარზე გამოსულ წიგნების შინაარსის გაცნობა და ეს კი მოითხოვს ბიბლ. მუშაკისაგან სამსახურის საათების გარეშე ზედმეტ დროს. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ქოხ-სამკითხველოს მუშაკების როლი სოფლად გლეხური მეურნეობის კულტურული დონის ამაღლებისათვის. თუ რამდენად სერიოზული არის ის მოთხოვნილებები, რომელსაც ცხოვრება უყენებს საბიბლიოთეკო მუშაკებს სჩანს წარსული წლის სექტემბერში ჩ.-კავშირის ც. კ.-სთან შემდგარ ბიბლიოთეკის მუშაკთა კონფერენციის შემდეგ დადგენილებიდან: „მკითხველზე პედაგოგიური ზეგავლენისათვის არ არის საკმარისი მკითხველის შეჩვევა წიგნით წესიერად მუშაობისათვის, საჭიროა აუცილებლად უფრო შორს წასვლა, მკითხველის მსოფლ.-მხედველობის შეცვლა-გარდაქმნა და მის ცხოვრების ყოფაქცევის მიმართვა სოციალიზმის აღმშენებლობისათვის შეფარდებულ საერთო ამოცანებისაკენ". თუმცა პოლიტგანათლების ადმინისტრაციამ უკანასკნელი გარემოება ანგარიშში მიიღო, მაგრამ მისი გაგებით, ბიბლიოთეკის მუშაკების კვალიფიკა-

ციის ამაღლება-განვითარება უნდა ხდებოდეს მუშაობის გარეშე თავისუფალ საათებშიო.

რასაკვირველია, განათლების მუშაკთა კავშირის ც. გამგეობას ამ შემთხვევაში არ შეეძლო გაეზიარებიოს ადმინისტრაციის თვალსაზრისი.

მოლაპარაკების შედეგად უკვე 1927 წ. აპრილიდან ბიბლიოთეკებისა, სამკითხველოების და ქოხ-სამკითხველოს მუშაკნი გადაყვანილ იქმნენ 5 საათ. სამუშაო დღეზე, ხოლო დანარჩენი 1 ½ საათი მიეცათ მომზადებისთვის (გადათვალიერება მორიგი ბიბლიოგრაფიისა, ახალ წიგნების, ჟურნალების და სხ.) სამკითხველოშივე ან უკანასკნელის კედლების გარეშე.

პარალელურად ამისა განათლების მუშ. კავშირის ც. გ.-ბამ მიმართა შრომის სახალხო კომისარიატს წინადადებით, რათა კანონის გზით გატარებულ ყოფილიყოს 24 საათიანი კვირეული ნორმა და დამატებითი 2 კვირის შეებულება პედაგოგიური განხრის ბიბლიოთეკის მუშაკებისათვის, ვინაიდან უკანასკნელების მუშაობა ჩვენი სინამდვილის პირობებში ისეთივეა რაც პედაგოგის შრომა, რომლის ნორმა არ აღემატება აგრეთვე 24 საათს.

იმ პირობების მავნებლობის ხარისხის გამოსარკვევად, რომელშიაც უხდებათ მუშაობა ბიბლიოთეკისა და ქოხ-სამკითხველოს მუშაკებს და მათ გამგეებს (წიგნის მტვერი, კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლა და სხ.) შრომის სახ. კომისარიატმა გამოჰყო კომისია, რომელშიაც შევიდა კომპეტენტური ექიმი ც. გამგეობის მიერ აღძრულ საკითხის მეცნიერულად დასაბუთება-დამუშავებისათვის.

ეს კომისია უკვე შეუდგა თავის მუშაობას.

პოლიტგანის ადმინისტრაციასთან შეთანხმებულ სხვა საკითხებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი: ბიბლიოთეკის მუშაკებს (არა ტეხნიკურ მუშ.) ეძლევა თითო ხალათი, თუმცა ეს სრულიად არაა მოხსენებული საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის სიებში; ტეხნიკურ მუშაკებს მიეცემათ კიდევ დამატებითი თითო ხალათი, ნაცვლად შრომის სახალხო კომისარიატის სიით ერთი ხალათისა; ტეხნიკურ მუშაკებს, რომლებსაც ბიბლიოთეკის საქმეების გამო მიუხდებათ აბონენტებთან მისვლა მიეცემათ 1 წყვილი „ფეხსაცმელი“ წელიწადში და საწვიმარი წამოსასხამი („პლაშჩი“) 2 წლით, ბიბლიოთეკის გამგეებს ეძლევა ტრამვაის აბონემენტი.

ხელშეკრულებით დაწესებულია 2 კვირის შეებულება როგორც წესი, მაგრამ ზაფხულობით, როდესაც ბიბლიოთეკების მუშაობა სანახევროდ მცირდება, შესაძლებელი იქნება კიდევ 2 კვირით შეებულების გაგრძელება თანამშრომელთა შორის მორიგეობის შემოღების გზით. ასეთი დათქმის შემწეობით ამ წელიწადში ბიბლიოთეკის მუშაკთა 75 პროც-ს შეეძლებათ ისარგებლონ 1 თვის შეებულებით.

ვეხებით რა ბიბლიოთეკისა და ქოხ-სამკითხველოების მუშაკების მატერიალურ მდგომარეობას, უნდა აღინიშნოს რომ, როგორც თვით ტფილისში, ისე მაზრაშიაც მათი ხელფასი შედარებით მცირეა მაშინ, როცა 1928 წ. იანვრიდან პირველი საფეხურის მასწავლებლის შრომის ჯილდო ტფილისში გამოიხატება 49 მან., ბიბლიოთ. მუშაკების გასამრჯელო (პედაგოგიურ განხრიან) არის მხოლოდ 45 მან.

მაზრაში კი რამდენიმედ უფრო დაბალია ბიბლიოთეკისა და ქოხ-სამკითხველოს მუშაკის ხელფასი: ამჟამად აქ ხელფასში განსხვავება 10—15 მან. არის, ხოლო 1928 წ. იანვრიდან მასწავლებელთა განაკვეთის მომატებასთან დაკავშირებით ეს განსხვავება იმატებს.

განათლების მუშაკთა მე-VI-ე ყრილობის დადგენილება კი შემდეგს ღაღადებს:—„აღვნიშნავთ რა ბიბლიოთეკარების ხელფასის არასაკმარისობას ყოველ ღონისძიებით უნდა მოვიწადინოთ ბიბლიოთეკარების განაკვეთის გადიდება და ვესწრაფოთ მის გათანასწორებას I საფ. მასწავლებელთა განაკვეთთან".

ამგვარად, კავშირის წინაშე სდგას ახალი ამოცანა: გათანასწორება ბიბლიოთეკებისა და ქოხ-სამკითხველოს მუშაკთა ხელფასის, როგორც ქალაქში, ისე მაზრაში, I საფ. მასწავლებელთა ხელფასთან.

„განათლების მუშაკი"

პედაგოგიურ-პროფესიონალური ორკვირეული ჟურნალი
გამოცემა საქ. განათლების მუშაკთა კავშირისა

გამოდის თვეში ორჯერ, 1 და 15 რიცხვებში.

წლიურად ხელისმომწერთათვის ჟურნალი ღირს

ექვსი მანეთი

რომელიც გადახდილ უნდა იქნეს
ორ-ორ მანეთობით სამჯერ: ოქტომბრის პირველამდე, დეკემბრის პირველამდე და თებერვლის პირველამდე.
კოლექტიური ხელისმომწერნი კი იხდიან ადგილკომების და პროფორწმუნებულების საშუალებით თვიურად ათ-ათ შაურს.

მისამართი: ტფილისი, ფურცელაძის ქ. № 3

ადგილებიდან

მუშაობა გამოცოცხლდა. (კიცხის თემი, შორაპნის მაზრა). დიდი ხანი არ არის, რაც გან. მუშაკთა პროფურწმუნებულად ავირჩიეთ ვლ. კამკამიძე. ამ ამხანაგის არჩევის შემდეგ სარწმუნებულოს მუშაობა ძალიან გამოცოცხლდა. სისტემატიურად მიმდინარეობს პროფწრის და პედწრის მუშაობა, კრებები თავის დროზე სდგება, კედლის გაზეთის გამოცემას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა, კავშირის წევრებს ყველას აქვთ გამოწერილი: „განათლების მუშაკი", „ახალი სოფლისაკენ", „კომუნისტი".

ა. წ. 23 იანვარს პედწრეში გაიკეთა მოხსენება დ. ყიფშიძემ „განათლების მუშაკის მუშაობის ჰიგიენა", რომელიც ხალისით იქნა მოსმენილი.

დავაარსეთ „ჟურნალის მეგობართა წრე", რომლის აზრი ჩვენს ჟურნალზე, რამდენათაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ გამოსულ ნომრებით, ასეთია:

1. ჟურნალს მასალის შერჩევით წასულთან შედარებით უთუოდ წინსვლა ეტყობა.

2. ვერ სტოვებს კარგ შთაბეჭდილებას, როცა ერთ და იმავე ნომერში ერთ და იმავე ავტორის რამოდენიმე (სამიც!) წერილია. აკი ჟურნალი უზრუნველყოფილია მასალით.

3. გარეგნულობა ჟურნალის ვერ ბადებს იმ სერიოზულობას, რომელსაც შინაარსი ატარებს: კვადრატულ ფორმას აჯობებს, რომ ჟურნ. სიგრძე უფრო მეტი იყოს სიგანეზე; რვეულივით არ უნდა იყოს შეკერილი.

4. ჟურნალში საჭიროა შემოღებული იქნეს განყოფილება: „სკოლის პრაქტიკიდან" და საკონსულტაციო განყოფილებამ სისტემატიური სახე უნდა ატაროს.

საერთოდ ჟურნალს აქეთკენაც ამხანაგები სერიოზულად უყურებენ, რაც თავდებია მისი (ჟურნ.) ყოველმხრივი წინსვლისა.

ო. დ. დ.

რედაქციისაგან: ერთი ავტორის რამოდენიმე წერილს ჩვენ ვერიდებით და არ გავთავსებთ ერთ და იმავე ნომერში, გარდა ბიბლიოგრაფიული განყოფილებისა. ბიბლიოგრაფიული შენიშვნები კი შეიძლება და დასაშვებია ერთი ავტორისა რამოდენიმე მოთავსდეს ერთ ნომერში. მაგრამ რაკი ჩვენ მკითხველებში ეს არ სტოვებს კარგ შთაბეჭდილებას, — შემდეგში ალარც ჩვენ დაუშვებთ.

რაც შეეხება „განათლების მუშაკის" ფორმატს, ამის შესახებ უფრო დაწვრილებით უნდა მოვილაპარაკოთ. „კვადრატიულ ფორმას აჯობებს, რომ ჟურნალის სიგრძე უფრო მეტი იყოს სიგანეზე", გვწერენ ამხანაგები. გავზომოთ ჩვენი ჟურნალი და აღმოჩნდება: სიგრძე=22 სანტიმეტრს და განი=16½ სანტ., ე. ი. სიგრძე უფრო მეტია სიგანეზე 5½ სანტიმეტრით. ამხანაგების მსჯელობა კვადრატიული ფორმის შესახებ აიხსნება ოპტიური შეცდომით: რადგანაც ჟურნალის გარეკანზე ზევითა და ქვევითა ნაწილი დაფარულია შავი წარწერებით და შუანაწილი კი სუფთა თეთრია, ამიტომ თითქოს კვადრატის შთაბეჭდილებას სტოვებს.

მაგრამ როგორც ჟურნალის ფორმატი 16½ ×22, ისე შავი წარწერებისა და თეთრი ადგილის პროპორცია შერჩეული და გამონახულია ხანგრძლივი მოფიქრების და ზომვის შემდეგ.

ჩვენი ჟურნალის გარეგნობა დიდ უმრავლესობას მოსწონს. უმცირესობა კი გამოსთქვამს ამ აზრს, რომ ჟურნალი უფრო გრძელი აჯობებდა. სასიამოვნო მოვლენად მიგვაჩნია, რომ ჩვენი მკითხველები ყურადღებას აქცევენ არა მარტო შინაარს ჟურნალისა, არამედ მის გარეგნობასაც. ეს პროგრესია და მოწმობს მკითხველებში ცხატვრული გემოვნების გაღვიძებას. ამას ჩვენ მოველოდით და ამიტომ სათანადო ყურადღებით ვეკიდებით ჟურნალის გარეგნობას.

ბეჭდვითი ხელოვნება ანუ პოლიგრაფიული წარმოება ჩვენში ძლიერ ჩამორჩენილია, მიუხედავად იმისა, რომ 300 წლის ისტორია აქვს, და ამიტომ არამც თუ მკითხველებმა, თვით ამ წარმოებაში ჩაბმულმა სპეციალისტებმაც, სამწუხაროდ, ნაკლებად იციან ის ესთეტიური ნორმები, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან ხელოვნებას. ამ საგანზე საუბარი უსარგებლო არ იქნებოდა, მაგრამ ეხლა დავკმაყოფილდეთ მოკლე განმარტებით ჩვენი ჟურნალის ფორმატის შესახებ.

„განათლების მუშაკის" ფორმატის არჩევის დროს ჩვენ ვიხელმძღვანელეთ უკანასკნელი მიღწევებით ბეჭდვითი ხელოვნების დარგში, რამდენადაც ამის შესაძლებლობას გვაძლევდა ბაზარზე არსებული საბეჭდი ქაღალდების ზომა.

1911 წელს საქვეყნოდ ცნობილმა მეცნიერმა, ენერგეტიკის მამამთავარმა ვილჰელმ ოსტვალდმა, შეიმუშავა და წამოაყენა ბეჭდვითი ნაწარმოებისათვის მსოფლიო ფორმატების პროექტი, რომელსაც საფუძვლად დაუდო შეფარდება 1:√2, ე. ი. განსა და სიგრძეს შორის უნდა იყოს ისეთივე დამოკიდებულება, როგორიცაა კვადრატის გვერდსა და დიაგანალს შორის. ეს

შეფარდება აღებულია იმიტომ, რომ რამდენჯერაც უნდა გაადიდოთ ის, შეფარდება არ იცვლება და თანაც უახლოვდება ესთეტიკის ეგრედ წოდებულ დიდ კანონს „ოქროს ნაკვეთს“ („Золотое сечение“).

იმავე წელს ოსტვალდისაგან დამოუკიდებლად მეორე გერმანელმა, მაგრამ ბეჭდვითი საქმის სპეციალისტმა, ნ. ვერნესმა, რომელსაც სტამბა აქვს ჩიკაგოში (ამერიკა). წამოყენა მსოფლიო ფორმატების მეორე პროექტი. ეს პროექტი საგრძნობლად განსხვავდებოდა ოსტვალდის პროექტისაგან, მაგრამ 1917 წელს ვერნესმა შეასწორა ის და უფრო დაუახლოვა ოსტვალდის პროექტს.

ვერნესის პროექტს საფუძვლად დაედო ზომა 17×24. ამ უკანასკნელ პროექტში ვერნესმა უცვლელად შეიტანა ოსტვალდის ნორმალური მსოფლიო ფორმატი № 9. ამ ფორმატის ზომაა 16×22,6 სანტ. „განათლების მუშაკის“ ფორმატისათვის ჩვენ ავიღეთ ყველაზე უფრო უდავო ფორმატი, რომელიც მსოფლიო ფორმატების ორივე პროექტებშია შეტანილი. მაგრამ სავსებით ვერ დავიცავით ეს ფორმატი, რადგან შესაფერი ზომის ქაღალდი არ იშოვება ჩვენში. განსხვავება მაინც მინიმალურია: ოსტვალად-ვერნესის ფორმატია 16×22,6 „განათლების მუშაკის“ კ. 16×22, ე. ი. სულ ნახევარი სანტიმეტრია განსხვავება, ამრიგად გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ „განათლების მუშაკის“ ფორმატი პირველი ცდაა საქართველოში მსოფლიო ნორმალური ფორმატის დამყარებისა.

ჟურნალის გვერდებს განგებ ისე ვაბეჭდინებთ, რომ ფურცლები ერთმანეთში ჩაიდოს და შეიკეროს რვეულივით. უფრო ადვილია ტეხნიკურად ზედიდან სისქეში მართულის გაყრა, მაგრამ მაშინ გადაფურცლის დროს ფურცლები უნდა გადაგეჭრათ, რაც გააფუჭებდა ჟურნალს და დააუშნოვებდა.

კონსულტაციის გაძლიერება უეჭველად კარგი საქმეა. აქ ცენტრში, თვითგანვითარების დამხმარე ცენტრალურ კომისიასთან არსებობს საკონსულტაციო ბიურო, მაგრამ შეკითხვები არ მოდის; ჟურნალს აქვს საკონსულტაციო განყოფილება „კითხვა-პასუხის“ სახელწოდებით და ყოველგვარ შეკითხვაზე ამხანაგები საჭირო პასუხს მიიღებენ.

განყოფილება „სკოლის პრაქტიკიდან“ კარგია. ალბად ამას მიიღებენ ბეჭდვილობაში ამხანაგები და მოგვაწვდიან წერილებს თავიანთ პრაქტიკიდან, რომ ეს განყოფილება შემოვიღოთ.

დასასრულ ერთხელ კიდევ ვსთხოვთ ამხანაგებს—მოგვაწოდონ შენიშვნები ჟურნალის აეკარგიანობის შესახებ, მხოლოდ მკითხველების აქტიური დახმარებით და რჩევა-შენიშვნების მოწოდებით შეიძლება ჟურნალის ყოველმხრივი გაუმჯობესება.

შორაპნის მაზრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ხელმძღვანელთა კონფერენცია. ა/წ. 16—17 იანვარს ჩატარდა ქ. ზესტაფონში ეს კონფერენცია, მას განათლების განყოფილება ხელმძღვანელობდა. დღის წესრიგი: 1. მოხსენებები ადგილებიდან, 2. თვითორგანიზაცია (მოსწავლეთა), 3. საწარმოო გეგმის შესახებ და სხ.

რა ცხადჰყო კონფერენციამ?

— 1. სოფლის ახალგაზრდობის სკოლები მართლაც ჰქმნიან ისეთ ატმოსფერას, რომ ისინი (სკოლები) ამართლიანად შეიძლება იწოდონ „ახალი სოფლის პიონერებად“ (კალინინი): აგრო-დახმარება მოსახლეობის, თემსაბჭოს არსებულ სექციების მუშაობის გამოცოცხლება, პრესის (განსაკუთრებით, კომკავშირის) გავრცელება, მედგარი გამოხმაურება რომენტის მიერ წამოყენებულ საკითხზე (ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია, მაგალითად) და სხ. სხ.—აი, როგორი მუშაობა აძლევს ამ სკოლებს შინაარს.

2. სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს, განსაკუთრებით შორაპნის მაზრაში, წელს შემაფერხებელი პირობები აქვს: ა. ახალგ. სკოლებს გერებად შემორჩენ წელს ყოფილი შვიდწლედიდან სალიკვიდაციო ჯგუფები, რომლის შენახვა, შტატის გაუდიდებლად, ახ. სკოლის მასწავლებლებს ევალებათ. შედეგი ამის? ზოგიერთ მასწავლებელს 50 კვირეული საათი!—ეს გაკვეთილების ჯამზე რომ ვილაპარაკოთ, ხოლო არსებითი შედეგი ის არის, რომ მუშაობა იქაც ფერხდება და აქაც. ბ. ჩვენს მაზრაში ახალგ. სკოლებს ტეხნიკური დარაზი მოუსწონს (ეს უთუოდ მაზრის გან. განყოფილების დაუდევრობაა). ადგილობრივ. თემის ბიუჯეტში უნდა შესულიყო ტეხნ. მუშის ხელფასი და განათლების განყოფილებას ეს წ/წ დეკემბერში გაახსენდა... ვინც იცნობს საქმეს, დაასკვნის, რომ ახალგ. სკოლები ტეხნ. მუშის გარეშე ყოვლად შეუძლებელია. ბ. წელს სკოლები „კანცელიარშჩინით“ ძლიერ არის დატვირთული: ასლები მიმოწერების, რომლებიც კომისარიატში მიდის, განყოფილებაშიც უნდა მიდიოდეს და—პირიქით. შესაძლებელია ზოგიერთი ასლები მართლაც საჭიროა სხვაგანაც იგზავნებოდეს, მარა ყველა?—რა საჭიროა ეს?

კონფერენცია სამართლიანად შეჩერდა ამ საკითხებზე და სათანადო დადგენილებებიც გამოიტანა.

ვიმედოვნებთ, ყოველივე ამას ყურადღება მიექცევა და გამოსწორდება.

დოლოლ.

ადგილკომების მუშაობა

პატარძეული (გარე-კახეთი). გასული წლის დეკემბრიდან აქ ჩამოყალიბდა ახალი ადგილკომი ამხ. გიორგი კირილოვის თანდასწრებით ც. გამგეობიდან. ა. წ. 27 იანვარს შესდგა თემის განათლების მუშაკთა საერთო I კონფერენცია, სადაც დაესწრო ყველა წევრები, 30-მდე.

დღიურ-წესრიგში დასმულ იქნა: 1. წრეების ჩამოყალიბება, 2. კულტ-კომისიის გამოყოფა, 3. ჟურნალ „განათლების მუშაკი“-ს გამოწერა-გავრცელების შესახებ, 4, 2%-იანი დავალიანებათა ამოწურვა და 5. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციამ გამოსთქვა სურვილი თემში სამი წრის დაარსების—პროფესიონალურის, პოლიტიკურის და ლიტერატურულის, რომელთა ხელმძღვანელად აირჩიეს კულტ-კომისიაში 3 კაცი, ენერგიული და მცოდნე მუშაკნი. წრეების მეცადინეობა იწარმოებს რიგ-რიგობით და წინდაწინ შედგენილი გეგმებით.

ჟურნალ „განათლების მუშაკის“ გარშემო კონფერენციამ აღნიშნა ის მოვლენა თუ რა სიხარულით შეხვდა თითეული მუშაკი მის გამოსვლას, როგორც ჩვენი საჭირბოროტო საკითხების გამომრკვევ ორგანოსი. და თუ დღემდე მხოლოდ 10 ცალი იყო გამოწერილი „ეგმბართა წრის“ მიერ, საჭიროა იანვრიდან გამოწერილ იქნეს იმდენი, რამდენი წევრია „მეგობართა წრეში“ რომლის მოგვარება დაევალა, როგორც ამ „მეგობართა წრის“ დამაარსებელს, ადგილკომის თავმჯდომარეს. დასასრულ იქნა აღნიშნული მიზეზები იმ გარემოებისა თუ რამ გამოიწვია ამ ორი თუ სამი თვის დავალიანებანი და დაადგინეს: იანვრის ხელფასის მიღებისთანავე ამოწურულ იქნეს და მომავალში დაავალეს ადგილკომის თავმჯდომარეს, რომ ასეთი მოვლენა არ იქნეს დაშვებული.

მიმდინარე საკითხებში: ა) მიღებულ იქნა კავშირში ორი ახალი წევრები და ბ) კრებამ დაადგინა, რომ არავითარ შემთხვევაში არ იქნეს მოწვეული კონფერენცია დასვენების დღეს, რადგან ამ ერთი დღით მასწავლებელმა ისარგებლოს. აგრეთვე კონფერენციის მოწვევა არ არის მიზანშეწონილი გაკვეთილების შემდეგ. არამედ იმ დღეს მუშაკნი განთავისუფლებულ იქნეს სასკოლო მუშაობიდან. კონფერენცია ხდება თვეში ერთხელ.

სოლო ცაიშვილი.

ღანირ-ქვიტირის და ჰაგნის ადკომი. დიდი ხანი არ არის, რაც აქ ადგილკომი დაარსდა. წინედ ხონსა და სამტრედიაში უხდებოდა მასწავლებლობას სიარული, რაც ერთობ აძნელებდა ადგილკომებში მათ მუშაობას.

ახლად დაარსებულ ადგილკომთან ჩამოყალიბებულ იქნა სხვა კომისიებთან ერთად კულტკომისიაც, რომელიც განაწილდა შემდეგ წრეებად: 1. სოციალ-პოლიტიკური, 2. პედაგოგიური, 3. პროფმოძრაობის და 4. ხელოვნების. ყოველ წრის სათავეში სდგას ხელმძღვანელი ბიურო, რომელთა თავმჯდომარეების გაერთიანება შეადგენს კულტკომისიის პრეზიდიუმს.

ყოველ წრეს აქვს თავისი სამუშაო გეგმა, რომლის განხორციელება მომავალში თანდათანობით აღნიშნულ იქნება ჩვენი ჟურნალის („განმუშაკი“-ს) ფურცლებზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მასწავლებელთა მთელი მასა ჩაბმულია მუშაობაში.

ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ მასწავლებლები საერთო ძალღონით (4 წლ. ერთნაირი ჯგუფების ერთად და 7 წლ. ერთნაირი საგნების) ჯერ წერილობით ამუშავებენ ამა თუ იმ თემის თითეულ მთავარ საკითხს და შემდეგ გადააქვთ ჯგუფებში.

მხოლოდ სამწუხაროა, რომ ადკომს არ აქვს ბიბლიოთეკა, რაც ერთობ საჭიროა მასწავლებელთა თვითგანვითარებისათვის.

სწორედ ამ ნაკლს უნდა მიაქციოს ადკომმა სათანადო ყურადღება და სხვადასხვა პედაგოგიური და პროფესიონალური ჟურნალ-გაზეთების გამოწერით საძირკველი ჩაუყაროს მასწავლებელთა ბიბლიოთეკას.

განათლების მუშაკი.

ბ. კიზირია.

როგორ უნდა იქნეს დამუშავებული ახალი კომპლექსური პროგრამები.

განათლების სახალხო კომისარიატის მიერ მიმდინარე სასწავლო წელს გამოცემულ იქნა ახალი კომპლექსური პროგრამები. შრომის სკოლის პროგრამების ისტორიაში (ს. ს. ს. რ.) ეს არის ერთი საგულისხმო ნაბიჯი ჩვენი სკოლის წინსვლის და ზრდის საქმესათვის. ახალი პროგრამები მასიური მუშაობის შედეგია, მაგრამ, როდესაც ეს პროგრამები მუშაობის განსაზღვრულ საფეხურზე მთლიანი სახით მოცემულია, საჭიროა ამ პროგრამების მიხედვით უფრო ინტენსიური მუშაობის წარმოება, პროგრამების ხორცშესხმა, პრაქტიკულ საქმიანობაში ამ პროგრამების შემოწმება და სხვადასხვა, რაც შესაძლებლად გახდის მომავლისათვის ამ პროგრამების გაუმჯობესებას და, მაშასადამე, საღი სკოლის ზრდასაც.

ეს საქმე ადვილი არ არის, მისი ამოწურვა, რიგიანად მოგვარება მთელ რიგ საკითხებს აყენებს მასწავლებლის წინაშე. ბევრი რამ უნდა იქნეს საქმაო სისწორით გათვალისწინებული და ენერგიული და დაუღალავი შრომით მიზანი მიღწეული იქნება. იმ საკითხთა შორის, რომლებიც წამოიჭრება ჩვენი ახალი კომპლექსური პროგრამების დამუშავების დროს მასწავლებლის წინაშე, განსაკუთრებით საყურადღებოა: აღზრდის მიზანი და ჩვენი პროგრამები, ახალი პროგრამების ზოგადი ანალიზი, ახალი პროგრამების მარქსისტული ხასიათი, კომპლექსური სისტემა, მუშაობის აგებვა და აღრიცხვა, მხარეთ მცოდნეობის და თანადროულობის პრინციპები, შრომა და მისი სახეები შრომის სკოლაში, ფორმალური ცოდნა და ჩვევები, ცალკე დისციპლინების ადგილი კომპლექსში, შრომის სკოლის მეთოდები, საზოგადოებრივი სასარგებლო შრომა, ფიზიკური აღზრდა, ესთეტიკური აღზრდა, ანტირელიგიური აღზრდა და მრავალი სხვა. აი ამ საკითხების შესახებ საჭიროდ მიმაჩნია აზრის გამოთქმა. ვფიქრობ, რომ მასიური მასწავლებლობა ერთი მეორის დახმარებით, თავის მოსაზრებების და გამოცდილების გაზიარებით ერთი მეორეს ხელს შეუწყობს და მძიმე მოვალეობას პირნათლად შეასრულებს.

I.

ჩვენი ახალი პროგრამები და აღზრდის მიზანი.

პირველი საკითხი, რომელიც წამოიჭრება მასწავლებლის წინაშე, როდესაც ის დაიწყებს მუშაობას ახალი კომპლექსური პროგრამების მიხედვით, არის აღზრდის მიზნის გათვალისწინება. ამის ნათელსაყოფად საჭიროა მოკლე ექსკურსია აღზრდის ისტორიის სფეროში.

საკმარისია, აღზრდის სისტემათა ისტორიას მოკლე მიმოხილვა გაუკეთოთ, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს სასწავლო გეგმების, პროგრამების და მუშაობის სახეების დამოკიდებულება იმ მიზნისაგან, რომელიც სკოლას და საერთოდ განათლებას დაკისრებული ჰქონდა განსაზღვრულ ეპოქაში სახელმწიფოს მიერ. ამის მაგალითია: 1) აღზრდა სპარტ ჭში, რომელიც სპეციალურად გაბატონებული კლასის მოთხოვნილების თანახმად მეომრებს ზრდიდა. 2) აღზრდა რომში, რომლის ერთი ეპოქა მოქალაქის მომზადების შეკვეთას იძლეოდა (ამ დროს რომის სახელმწიფო ყალიბდებოდა), ხოლო მეორე ეპოქა მეომრის მომზადებას მოითხოვდა (ამ დროს რომს მსოფლიოზე გაბატონების მადა გაეღვიძა); 3) აღზრდა საშუალო საუკუნოებში, როდესაც რომის პაპი და კათოლიკური ეკლესია დაეპატრონა კაცობრიობის აზროვნების ისტორიას. თავისი დოგმებით ის სააქაო ცხოვრებას საიქიო ცხოვრებისათვის სამზადისად თვლიდა და აღზრდის მიზანი ამ მსოფლმხედველობით იყო შემოფარგლული; 4) აღზრდა ახალი საუკუნეების პერიოდში, როდესაც ცოდნა მხოლოდ რჩეულებისათვის უნდოდათ, როდესაც მემამულეს ერჩია გლეხი უვიცობაში და სიბნელეში ყოლოდა; ხოლო ფაბრიკანტი—კაპიტალისტი უგდებდა პროლეტარიატს განათლების და ცოდნის ნამცეცებს, რომ მისი შრომის ნაყოფიერება უფრო აეწია, რომ ექსპლოატაცია უფრო ნაყიერი ყოფილიყო.

ისტორიის გრძელ მანძილზე მშრომელი მასა განათლებას მოკლებული იყო. განათლება გაბატონებული კლასის ხელში იყო. პირველ რიგში განათლება ემსახურებოდა გაბატონებულ კლასის მოზარდ თაობას და იმ შემთხვევაშიც, როდესაც განათლების მოზიარედ ხდებოდა არა გაბატონებული კლასის მოზარდი თაობის წარმომადგენელი, სკოლა მაინც გაბატონებულ კლასის მოსამსახურის როლს ასრულებდა თავისი პროგრამებით, მეთოდებით და აღზრდის მთელი სისტემით.

ავიღოთ ყოფილი რუსეთის იმპერია და მისი განათლების სისტემა. აქ პირველად ყოველისა თვალში გვეცემა ის უვიცობა, რომლის წუმპეში იხრჩობოდა ამ იმპერიის მრავალმილიონიანი მუშათა კლასი და განსაკუთრებით გლეხკაცობა. რუსეთის მეფისა და მემამულეებისათვის ხელსაყრელი იყო ამ მასის უვიცობა და სიბნელე, ვინაიდან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა მისი კრეჭა და გაძვალ-ტყავება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სკოლას ეღირსებოდა გლეხური ან მუშური ახალგაზრდობის წარმომადგენელი, ის ღებულობდა არა ჭეშმარიტ ცოდნას და აღზრდას, რომელიც მას გამოადგებოდა მომავალში, არამედ წვრთნას, როგორიც საჭირო იყო ისევ მეფისა და მემამულეებისათვის. სკოლა თავისი მოწყობილობით, მეფის პორტრეტით, ხატებით, „წმ. მამების“ სურათებით, დილის და საღამოს ლოცვებით ამზადებდა ახალთაობას ღვთისა და მეფის სამსახურისათვის.

კიდევ უარეს მდგომარეობაში იყო ეროვნულ უმცირესობათა ახალგაზრდობის აღზრდის მდგომარეობა. აქ ეროვნული ჩაგვრის მომენტი სავსებით აგვირგვინებდა გაბატონებული კლასის და მეფის შავ ზრახვებს. საკმარისია დავასახელოთ ისეთი პირები, როგორიცაა აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ნინოშვილი და სხვა და მათი ნაწერები: „ჩემი თავგადასავალი“, „მოგონება“, „პირველი ნაბიჯი“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, „მოსე მწერალი“,

და მრავალი სხვა. რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს ის ყოვლად უმსგავსო პოლიტიკა, რომელსაც რუსეთის იმპერატორის ხელისუფლება ატარებდა ეროვნულ უმცირესობათა და საერთოდ მშრომელი მასის დასამონავებლად. გარუსების პოლიტიკას მეფის ხელისუფლება მთელი რუსეთის მშრომელ მასას ახვევდა კისერზე უსირცხვილოდ.

დაინგრა მეფის ტახტი, გაჰქრა მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა. მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხკაცობამ თავის მაგარ ხელში აიღო თავისი ბედის გამოჭედვა, ის თავის ავლა-დიდებას თვითონ უვლის და მოუვლის. საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მშრომელი მასის სამყაროს. ამ სამყაროში ერთად არის რამოდენიმე ძმურად დაკავშირებული საბჭოთა რესპუბლიკა.

მშრომელთა სამყაროში განათლება მშრომელთათვისაა. მშრომელებს უნდათ ცოდნა, რომლის კარები მათთვის დღემდის დახშილი იყო, დღეს კი ღიაა ფართოდ. მშრომელებს სჭირია ცოდნა თავისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის; მშრომელებს სჭირიათ ცოდნა სიბნელის და უვიცობის განსაფანტად, რომლის ბურუსში ის იხრჩობოდა. მშრომელს სჭირია ცოდნა ბოროტების და უსამართლობის მოსასპობად მთელს მსოფლიოში. საბჭოთა კავშ. მშრომელებს ეს სავსებით შეგნებული აქვთ და მათში ცოდნისაკენ მისწრაფება დიდია. Рабочие тянутся к науке и школе, и наша задача теперь—дать им эту науку и школу».— ასეთია ლენინის დასკვნა. საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხური ხელისუფლება ოქტომბრის რევოლუციის ბელადის მიერ ნაჩვენები გზით მიდის. მუშას და გლეხს მიეცა სკოლა, მიეცა მეცნიერებაც.

თუ აქამდის ყველგან, ყველა ეპოქაში სკოლა იყო კლასიური, კლასიურია ის საბჭოთა კავშირშიც, სხვანაირად შეუძლებელია. მიუხედავად ამისა საბჭოთა სკოლის მიზანი ძირიან-ფესვიანად განსხვავდება ბურჟუაზიული თუ სხვა სკოლების მიზნებისაგან. მიზანი, რომელსაც მუშათა კლასი სკოლას უსვამს, მიდის იმ ხაზით, რომელითაც მიმდინარეობს მუშათა კლასის საერთო მიზანი. აქ მთავარი ამოცანაა ისეთი შთამომავლობის აღზრდა, რომელიც შესძლებს მუშათა კლასის მიზნების განხორციელებას. ეს თაობა უნდა იქნეს გამსჭვალული კოლექტური ინსტინქტებით, ნათლად უნდა ესმოდეს, თუ რისთვის იბრძვის მუშათა კლასი; უნდა ესმოდეს, რომ მუშათა კლასის იდეალები საერთო განვითარების გზაზეა, რეალურია, ჰეშმარიტია. ახალგაზრდობას ნათლად უნდა ქონდეს გათვალისწინებული ამ მიზნისაკენ მიმავალი გზა და ამ გზით უნდა წავიდეს. მართალია, პროლეტარიატი განსაზღვრულ ამოცანას უყენებს სკოლას, მაგრამ ის უყურებს სკოლას, როგორც საშუალებათაგანს, რომელიც დიდ როლს შეასრულებს ისეთი ახალგაზრდობის მოზადებაში, რომელიც ბოლოს მოუღებს თვით კლასთა ბატონობას. გარდამავალ ეპოქაში, როდესაც ძველი ცხოვრების ნაშთები დანგრეულია, ახალი ცხოვრება ფეხს იდგამს, სკოლას ძძიძე მოვალეობა აწევს. მან უპირველესად ყოვლისა უნდა მოამზადოს ისეთი მოქალაქე, რომელიც ღირსი მემკვიდრე იქნება იმ მებრძოლთა, რომლებმაც შესძლეს საუკუნეებით გამაგრებული მეფის ტახტი მოესპოთ, ბურჟუაზია და მემამულეები დაემხოთ და დაეწყოთ ახალი ცხოვრების, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ერთი უდიდესი საქმე გაკეთებულია. მას ჩაბარება და მოვლა უნდა. ღირსეულ

მებრძოლს ღირსეული მემკვიდრე სჭირია. ამ ღირსეული მემკვიდრეების აღზრდა საბჭოთა შრომის სკოლის მთავარი მიზანია.

ამას თან სდევს მეორე დიდი ამოცანა: არ კმარა მარტო დამზადებულის და გაკეთებულის მიღება და მოვლა, საჭიროა მშენებლობის გაგრძელება ინტენსიურად, დაუღალავი ენერგიით. ამას კი უნდა ცოდნა და თავდადებული შრომა. ამისათვის საბჭოთა შრომის სკოლამ ახალგაზრდობა უნდა აღჭურვოს ჭეშმარიტი ცოდნით. ამითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ საბჭოთა სკოლა სწავლობს ცხოვრების სინამდვილეს და არა მშრალ წიგნურ ფრაზებს. სხვანაირად არც შეიძლება. ვისაც უნდა ცხოვრების აღმშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღება, მან უნდა ისწავლოს ეს მშენებლობა თვით ცხოვრების წიაღში უშუალო მუშაობის წარმოებით და გზა და გზა ცოდნის მიღებით და გამტკიცებით. ცხოვრების სინამდვილის შესწავლა ჩვენი სკოლის პროგრამების ღერძია.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი სკოლის სააღმზრდელო ამოცანები ნათელია, საბჭოთა შრ. სკოლის პროგრამები სასიცოცხლო ხასიათის მატარებელია. შესაძლებელია, მას კიდევ დასჭირდეს გასწორება, მაგრამ ურყეველია მისი ძირითადი გეზი.

ახალი პროგრამები—კომუნისტური აღზრდის მთლიან სისტემას წარმოადგენს.

აქედან აშკარაა, რომ საბჭოთა სკოლის მასწავლებელს, თავისუფალი რესპუბლიკის თავისუფალი მოქალაქის, ახალი ცხოვრების შემქნელის აღმზრდელს დიდი შორს მჭრეტველობა დასჭირდება. მას (საბჭოთა მასწავლებელს) ნათლად უნდა ქონდეს წარმოდგენილი საბჭოთა აღმშენებლობის ძირითადი პრობლემები და ის ღონისძიებანი, რომელთაც მიმართავს მშრომელთა კლასი თავისი მიზნების განხორციელებისათვის. ეს კი მას მისცემს საშუალებას ნათლად წარმოიდგინოს და გაითვალისწინოს აღზრდის მიზნებიც, რაც მისი მუშაობისათვის აუცილებლობას წარმოადგენს.

(გაგრძელება იქნება).

დაუყონებლივ დაიარსეთ

„ჟურნალის მეგობართა წრე“

(იხ. „განმ. მუშ“. № 6 გვ. 13)

ვლ. ზამბახიძე

ფ რ ე ი დ ი ზ მ ი

(დასასრული *)

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, ლტოლვათა თეორიამ ფრეიდის ხელში განიცადა ცვლილება და ამ ახალ სახით გადმოცემულია მის შრომაში „Я и Оно". ახალ გაგების თანახმად ლტოლვანი განიყოფებიან: 1) სექსუალურ ლტოლვებად ანუ ეროსად; 2) ლტოლვა სიკვდილისაკენ. ეროსის შესახებ ფრეიდი ამბობს: „ის (ეროსი) შეიცავს არა მხოლოდ ნამდვილ შეუკავებელ სქესობრივ ლტოლვას და მისგან წარმოშობილ მიზანშეწონილად დათურგვნილ, (подавленный) სუბლიმაციაქმნილ ლტოლვებს, არამედ თვითდაცვის ინსტინქტსაც, რომელიც ჩვენ უნდა მივაკუთნოთ „მე"-ს და რომელიც ანალიტურ მუშაობის დაწყებისას ჩვენ სრულიად სამართლიანად დაუპირისპირეთ ობიექტებისადმი სექსუალურ ლტოლვასო". როგორც ვხედავთ „მე" ლტოლვანი და უპირველეს ყოვლისა თვითდაცვის ინსტინქტი მიკუთვნებულ იქნა სექსუალურ ლტოლვებისათვის და ამით ამ უკანასკნელის ცნება ძლიერ გაფართოვდა. ეროსი, ფრეიდის გაგებით, არის ლტოლვა ორგანიულ ცხოვრებისადმი და მისი შენარჩუნება-განვითარებისადმი, სიკვდილისადმი ლტოლვის ამოცანას შეადგენს, რომ ყოველი ცოცხალი ორგანიზმი უკან დახიოს არა ორგანიულ, უსიცოცხლო მდგომარეობისაკენ.

სიცოცხლე, ფრეიდის აზრით, არის ამ ორ ლტოლვათა შორის წარმოებული ბრძოლა და კომპრომისები. ცოცხალ სუბსტანციას ყოველ ნაჭერში მოქმედებს ეს ორი ლტოლვა, რომელთაგან ერთი შემოქმედებითი ფუნქციების მატარებელია და მეორე კი ცოცხალ ორგანიზმის დაშლის მიზეზია. თუ კი უჯრედი სიცოცხლობს—ეს ნიშნავს, რომ მასში სჭარბობს ეროსი. მაგრამ, როგორც კი დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას ეს ეროსი, მაშინვე თავს წამოჰყოფს ლტოლვა სიკვდილისადმი. ამიტომ, ის მდგომარეობა, რომელშიაც ვარდება ცოცხალი არსება სქესობრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ, წააგავს სიკვდილს, ხოლო დაბალ საფეხურზე მდგომ ზოგ ცხოველთათვის სექსუალურ დაკმაყოფილებას ნამდვილი სიკვდილი მოჰყვება. ისინი კვდებიან გამრავლების ჟამს, რადგან ეროსის დაშვიდების შემდეგ სიკვდილისადმი ლტოლვას ეძლევა მოქმედების თავისუფლება.

ლტოლვათა თეორიის გარდა ერთგვარი „ცვლილება" განიცადა არაცნობიერმაც, რომლის შემადგენლობა გამდიდრდა ახალი მომენტებით.

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, „განდევნილი" შესდგებოდა სექსუალურ ლტოლვებისაგან და ერთგვარ წინააღმდეგობაში იმყოფებოდა „მე"-ს მიმართ.

თავის ახალ შრომაში („Я и Оно") ფსიქიკის ამ ახალ სფეროს, რომელიც დაპირისპირებული ჰყავს „მე"-ს, ფრეიდი უწოდებს „Оно"-ს. „Оно" არის ვნებები და მასში გაბატონებულია სიამოვნების პრინციპი. ამასთან ერთად „Оно" არაცნობიერია. აქამდე, არაცნობიერს ჩვენ ვუკავშირებდით ყოველივე ამორა-

*) იხ. „განათ. მუშაკი" № 6.

ლურს და პირიქით: ყველაფერი, რაც კი ზნეობრივად მაღალი და გონიერი იყო, მიგვაჩნდა ცნობიერის ატრიბუტად. მაგრამ ფრეიდი ამბობს რომ, არაცნობიერი მხოლოდ „Оно“ კი არ არის, არამედ „მე“-შიაც, მის **უმაღლეს** სფეროშიაც მოიპოვება ისო (Я и Оно“ გვ. 24).

ამისაგან, რაც ჩვენ ვიცით არაცნობიერის, როგორც განდევნილის შესახებ, **უნდა** დავასკვნათ, რომ ჩვეულებრივი ადამიანი გაცილებით მორალურია და იმავე დროს ზნეობრივად გაცილებით ფაქიზია, ვიდრე ეს მას წარმოუდგენია. ამის შესახებ ფრეიდი ამბობს: „თუ კი ვინმე მოინდომებს იმ პარადოქსალურ დებულების დამტკიცებას, რომ ნორმალი ადამიანი არამც თუ გაცილებით უზნეოა, ვინემ ეს მას წარმოუდგენია, არამედ უფრო ზნეობრივიც აღმოჩნდება, ვინემ ეს მან იცოდა, ფსიქოანალიზს, რომლის დებულებებსაც ემყარება ამ მტკიცების პირველი ნაწილი, არაფერი ექნება საწინააღმდეგო მეორე ნაწილისაც“-ო. მაშასადამე ადამიანი არაცნობიერად ატარებს თავის არსებაში რაღაც ზნეობრივ ნორმებს, რომლებიც ახდენენ „მე“-ს ცნობიერ ცხოვრების რეგულიაციას.

„მე“-ს ამ უმაღლეს არაცნობიერ სფეროს ფრეიდი უწოდებს „იდეალ-მე“-ს. თუ „მე“ უმთავრეს შემთხვევაში არის გარესამყაროს, რეალობის წარმომადგენელი, სამაგიეროდ „იდეალ-მე“ გამოდის „შინაგან სამყაროს ვექილად“, და თავის რაობით ის შეეფერება ყველა იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც ჩვენ ვურდგენთ ადამიანის **უმაღლეს** საწყისს.

„იდეალ-მე“ ცენზორია, რომლის ბრძანება სრულდება განდევნის მოხდენის **სახით**. „იდეალ-მე“-სთან გვაქვს ჩვენ საქმე, როდესაც ვლაპარაკობთ ანგარიშ მიუცემელ დანაშაულის გრძნობაზე, ან საერთოდ სინიდისზე, რომელიც წარმოადგენს „მე“-ს გაკიცხვას კრიტიკულ ინსტანციის მიერ. „იდეალ-მე“-ს ეკუთვნის მორჩილების (смирения) რელიგიური გრძნობა, რომელიც შედეგია იდეალთან შედარებისაგან გამოწვეულ საკუთარ „მე“-თი უკმაყოფილების გაცდის. „იდეალ მე“-ს ეკუთვნის აგრეთვე ე. წ. სინიდისის ქენჯნის განსაკუთრებული სისასტიკე საკუთარ თავის მიმართ და სხვა. ყველა ამ შემთხვევებში „მე“ ემორჩილება ძალას, რომელიც წარმოიშობა არაცნობიერ, მაგრამ იმავე დროს „ჰიპერ მორალურ სფეროდან“, როგორც მას ფრეიდი უწოდებს.

საიდან გაჩნდა ადამიანში „იდეალ-მე“?

ამის გასაგებად საჭიროა გავეცნოთ ერთ-ერთ ფსიქიურ მექანიზმს, რომელსაც ფრეიდი უწოდებს იდენტიფიკაციას (გაიგივებას). ადამიანის ლტოლვამ რომელიმე საგნისადმი შეიძლება მიიღოს ორი სახე. პირველი, როდესაც მას სურს **დაეუფლოს** ობიექტს, და მეორე, როდესაც ის ახდენს ობიექტთან **იდენტიფიკაციას**. ასეთია ბავშის მამისადმი დამოკიდებულება და ის დაკავშირებულია ლიბიდინოზურ ორგანიზაციის ორალურ ფაზასთან. ამ ფაზაში ბავში, როგორც პირველი ადამიანი—რომელსაც ეგონა, რომ ამა თუ იმ ცხოველის შეჭმასთან ერთად იძენდა მის თვისებებს—მხოლოდ შეჭმის თვალსაზრისით უდგება ყოველ მოვლენას.

ეხლანდელი იდენტიფიკაცია კი ერთგვარი ფსიქიური შემცვლელია პირველ ადამიანის ორალური ფაზის. იდენტიფიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სიყვარულის განცდის მომენტებში, როდესაც უპასუხოდ დარჩენილი შეყვარებული, როგორც ფრეიდი აღწერს, ჰბაძავს თავის სიყვარულის ობიექტს და ახდენს მას

თან სრულის გაიგივებას. ამ იდენტიფიკაციითვე აიხსნება აგრეთვე ,,იდეალ-მე''-ს წარმოშობა ადამიანის ფსიქიკაში. ,,იდეალ-მე'' ჩნდება ბავშის მიერ თავის ,,მე'' ს გაიგივებისაგან მამასთან, ოიდიპოსის კომპლექსის პერიოდში. ბავში ამ ხანაში იძენს მამის ვაჟკაცურ თვისებებს, ითვისებს მისი ბრძანებითი კილოს და სხვა; ამას ზრდის შეძლებაზე ემატება განათლებას, მასწავლებელთა და საერთოდ საზოგადოების აღმზრდელობითი ზეგავლენა, თუმც ეს მომენტები გაცილებით ნაკლებ მნიშვნელობისაა მამის იდეალიზაციასაა და იდენტიფიკაციასთან შედარებით. ,,ჰიპერ-მე შეინახავს მამის ხასიათს და რაც უფრო ძლიერია ოიდიპოსის კომპლექსი და სწრაფია მისი განდევნა (ავტორიტეტის, კითხვის, განათლების ზეგავლენით), მით უფრო მკაცრად იბატონებს ჰიპერ-მე'' ,,მე''-ზედ, როგორც სინიდისი, და შეიძლება, კიდევაც, როგორც დანაშაულის არაცნობიერი გრძნობა''-ო ამბობს ფრეიდი. (,, Я и Оно'' გვ. 33).

აი დაახლოებით ის, რასაც გვასწავლის ფსიქოანალიზი ,,იდეალ-მე''-ს შესახებ.

* * *

ფრეიდიზმი არ არის ,,ვიწრო'' ფსიქოლოგიური თეორია. პირიქით, ის სცდილობს შეიჭრეს ადამიანის ცხოვრების და შემოქმედების ყოველ წვრილმანში. ამ მიზნით ფსიქოანალიზი არკვევს ადამიანის იდეოლოგიურ შემოქმედების გენეზისს და ცდილობს განამტკიცოს სოციალურ ფორმათა წარმოშობა განვითარების საკუთარი კონცეპცია. შევაცადოთ პირველ რიგში გავაშუქოთ ფრეიდის სოციოლოგიური თეორია, და ამის შემდეგ ზოგადად მოვხაზოთ ფსიქოანალიტიკების შეხედულება ხელოვნების, რელიგიის და სხვა სახის იდეოლოგიურ შემოქმედების საკითხებზე.

ამ თავითვე უნდა გაუსვათ ხაზი მას, რომ ფრეიდის ფსიქოსოციოლოგიურ შენობის მთავარ მომენტს წარმოადგენს „იდეალ-მე'' და იდენტიფიკაციის მექანიზმი.

იდენტიფიკაცია არის ყველაზე ადრინდელი გამოაშკარავება ერთი პიროვნების მეორესთან ემოციონალურად დაკავშირების და, როგორც ზემოდ ვსთქვით, ,,იდეალ-მე''-ც არის ამ იდენტიფიკაციისაგან წარმოშობილი კატეგორია. იდენტიფიკაციას ადგილი აქვს მამის ან სიყვარულის მიუწდომელ ობიექტის მიმართ. პირველ შემთხვევაში ის ხდება ობიექტის ინტროექციით ,,მე''-ში და სხვა შემთხვევაში მაშინ გვაქვს მასთან საქმე, როდესაც ,,იდეალ-მე''-ს ატრიბუტების პროექციას ვახდენთ.

პირველი სახის იდენტიფიკაციის კონკრეტ ბუნებას ჩვენ, ასე თუ ისე, გაეცანით, ხოლო მეორის სწორი ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ ე. წ. იდეალიზაციის პროცესის გაშუქებასთან ერთად, რადგან ის ამ უკანასკნელთან კავშირში იმყოფება. იდეალიზაციასთან გვაქვს ჩვენ საქმე, როდესაც ობიექტი გვესმის, როგორც საკუთარი ,,მე'' და ზოგ შემთხვევაში ის წარმოდგენილი გვყავს, როგორც ჩვენი ,,იდეალ-მე''ს alter ego.

ფრეიდი ამბობს, რომ ,,ის (ე. ი. იდეალიზაციის ობიექტი) უყვართ იმ სრულქმნილების გამო, რომელიც ადამიანს სურდა თავის ,,მე''-სთვის და რომელიც ეხლა მას უნდა მოიპოვოს არაპირდაპირის გზით, თავის ნარცისმის დაკმაყოფილების მიზნით''-ო. (Псих. масс и анал. чел. «я» გვ. 58).

როგორც აქედან ირკვევა, იდეალიზაციის პროცესი ხასიათდება ობიექტისათვის არაჩვეულებრივ თვისებების მინიჭებით. ეს პროცესი არაცნობიერია, რადგან იდეალიზაციის მომხდენი პიროვნება ღრმად დარწმუნებულია ჰიპერბოლურ შეფასებას ობიექტ ურობაში. ამ მდგომარეობის შედეგია ის, რომ ობიექტი ჰფლობს „მე“-ს თვითშეყვარებულებას, რასაც ლოლიკურ აუცილებლობით თან მოსდევს „მე“-ს მსხვერპლად მიტანა და „იდეალ-მე“-ს ფუნქციების ლიკვიდაცია. ამ სიტუაციაში კრიტიკა სდუმს და ობიექტის ყოველგვარი მოთხოვნილება-მოქმედება სწორი და უნაკლოა. ყოველ აქტში, რომელიც ობიექტის სასარგებლოდ სრულდება, ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს სინიდისის მკაცრ მსჯავრს და „მთელი სიტუაციას, ამბობს ფრეიდი, სრულად ლაგდება შემდეგ ფორმულაში: ობიექტმა დაიკავა „იდეალ-მე“-ს ადგილი“-ო(გვ. 59). იდეალიზაცია ეხება არა მხოლოდ სექსუალურ საყვარელს ობიექტს, არამედ ყოველ საყვარელ პიროვნებას, იქნება ის მხატვარი, მწერალი, თუ მასწავლებელი, განყენებულ იდეას და სხვა.

ადვილი გასაგებია, რომ იმ მომენტიდან, როდესაც ჩვენი „იდეალ-მე“-ს ადგილს იკავებს ობიექტი, ამ უკანასკნელის ნება, სურვილი და ძალა-უფლება იქცევა ისეთ რამედ, რომლისათვის არ დამორჩილება შეუძლებელია. სწორედ ამ გზით იქნება სახელმწიფოს, ეკლესიის, მთავრსარდლის და სხვათა ავტორიტეტი, რომელთა ბატონობის უღელს ადამიანი თითქოს ნებაყოფლობით იდებს კისერზედ. ამის შემდეგ პიროვნებას დარჩენია მხოლოდ სიტყვა შეუბრუნებელი მორჩილება იმ ობიექტისადმი, რომელზედაც მან გადაიტანა თავის „იდეალ-მე“.

„იდეალ-მე“-ს სხვა პიროვნებით შეცვლის პრინციპზეა აგებული აგრეთვე ჰიპნოზი. ჰიპნოზის პირობებში მეორდება ის მორჩილება და ჰიპნოტიზიორისადმი კრიტიკულ მოპყრობის არ ჰქონება, რომელსაც ადგილი ჰქონდა საყვარელ პიროვნების იდეალიზაციის დროს, რის გამოც „არ არსებობს არავითარი იქვი, რომ ჰიპნოტიზორმა დაიკავა „იდეალ-მე“ ს ადგილი“-ო, განმარტავს ფრეიდი. ჰიპნოტიზიორი არის ერთად ერთი ობიექტი, და „მე“-ც, როგორც სიზმარში, განიცდის ყველაფერ მას, რასაც ეს ობიექტი მოითხოვს და უბრძანებს მას. „იდეალ-მე“-ს დაპატრონებული ობიექტი უკვე ადვილად განაგებს ადამიანის უძლურ „მე“-თი და საითაც სურს იქით მიაბრუნებს მას, მაგრამ ადამიანის ავტორიტეტისადმი ინდივიდუალურ მიმართებით ამოიწურება განა სოციალური ორგანიზაცია? ცხადია რომ არა.

ფრეიდის ინტერპრეტაციით ჰიპნოზი იმით განსხვავდება მასისაგან, რომ აქ (ჰიპნოზის შემთხვევაში) მასის სრულ სტრუქტურიდან გამოყოფილია ერთი მომენტი: დამოკიდებულება წინამძღოლთან. მაგრამ ამ დამოკიდებულების გარდა არსებობს კიდევ მჭიდრო სოციალური კავშირი სახელმწიფოს, ეკლესიის და სხვ. წევრებს შორის. რით აიხსნება ეს კავშირი? იმავე იდენტიფიკაციით, რადგან ამა თუ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციის წევრებს გადააქვთ თავიანთი „იდეალ-მე“ ობიექტზე (წისააძღოლზე), რის შემდეგაც უნდა მოახდინონ ურთიერთი იდენტიფიკაცია და მოსპონ მათ შორის არსებული განსხვავება. სწორედ ამ გზით შეიქნა, ფრეიდის აზრით, პირველი ტომი, რადგან „პირველყოფილი მასა არის კრებული იმ პიროვნებათა, რომელთაც თავის იდეალ-მე-ს ადგილზე დააყენეს ერთი და იგივე ობიექტი და ამის გამო გაიგავდენ ერთი მეორესთან თა-

ვის „მე"-ში (Пс. масс и ан. чел. „я" 62). როგორც ვხედავთ, სოციალურ ორგანიზაციის რაობა ახსნილია ფსიქიურ მექანიმმებით. ჩვენთვის ნათელია, რომ ფრეიდის აზრით ფსიქიური ძალებაა ის სტიმული, რომელიც აერთებს, ფორმას აძლევს და განამტკიცებს ადამიანთა კოლექტივს. ამავე ფსიქიურ მექანიზმების საშუალებით ახდენს ფსიქოანალიზი ადამიანის იდეოლოგიურ შემოქმედების ინტერპრეტაციას.

მითოლოგია, რელიგია, ხელოვნება და სხვა არის ადამიანის შემოქმედების ის დარგი, სადაც სრულად შეიძლება გამოყენებულ იქნას სიზმრის ახსნის მეთოდები და ამრიგად ადგილი დაეთმოს არაცნობიერში განდევნილ ლტოლვების ე. წ. შემცველელ სიმბოლოებს, რომლებმაც ზოგიერთ საკითხებში აბსურდამდე მიყვანა ფსიქოანალიზის უნიჭიერესი წარმომადგენლები.

რა არის ფრეიდისათვის რომელიმე მითოლოგიური სახე და როგორ წარმოიშობა ის?

მითი, გვასწავლიან ფსიქოანალიტიკები, არის ხალხის კოლექტიური ძილი. მითოლოგიურ სახის შექმნა სწარმოებს სიზმრის მუშაობის ანალოგიურად და ამიტომ ის (სახე) არის არაცნობიერში განდევნილ ლტოლვათა შემცველელი სიმბოლო. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მითოლოგიაში იმ მომენტებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ოიდიპოსის განცდასთან და ე.წ. განდევნასთან. ბერძნული მითი კრონოსის მიერ შვილების შეჭმის და შემდეგ ზევსის მიერ (რომელიც დედის საშოში დაიმალა) მისი კასტრაციის და მოკვლის შესახებ, ან ბრძოლა რუსტემსა და ზორაბს შორის სპარსულ ეპოსში-ყველაფერი ეს არის სიმბოლიურ სახეებში მოცემული ბრძოლა, წარმოებული დედის დაუფლების მიზნით.

რელიგიურ იდეათა განვითარებაშიაც დიდ როლს თამაშობს იგივე ოიდიპოსის კომპლექსი, თუმცა როგორც ზემოდ ვსთქვით, განდევნილ სექსუალ ლტოლვათა კომპლექსებთან ერთად ამ საკითხში დიდი ადგილი ეთმობა „იდეალმე"-საც.

ეხლა მოკლედ შევეხოთ ხელოვნების პრობლემას. ფსიქოანალიტიკების აზრით ხელოვნების ყოველ დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროტულ სიმბოლოებს, რადგან, ყოველ, სულ უბრალო მხატვრულ სახის მიღმა იმალება ესა თუ ეს ეროტული ობიექტი. ხელმძღვანელობს რა ამ პრინციპით, პროფ. ერმაკოვი თავის დასკვნებში გოგოლის ზოგიერთ პერსონაჟების შესახებ ისე შორს მიდის, რომ მის მიერ წამოყენებული დებულებები ძნელად დასაჯერებელი ხდება. ასეთია, მაგალითად, კოვალევის მიერ ცხვირის დაკარგვის ამბავი, რომლის სინამდვილე, ვითომც, მდგომარეობს იმაში, რომ მას (კოვალევს) ეშინოდეს penis-ის დაკარგვის ე. ი. სქესობრივ იმპოტენციის.

რაც შეეხება თვით ფრეიდს, მან ოხუნჯობის და გონებამახვილობის ესთეტიურ მოვლენების ახსნისათვის მოიხმარა სიზმრის ახსნის მეთოდი (იხილე «Остроумие и его отношение к безсознательному» Фрейд).

თუ სადმე კი შეიძლებოდა ლაპარაკი ზემოდ ნახსენებ ე. წ. შემცველელ სახეების შესახებ, განსაკუთრებით დასაშვებია ის გონებამახვილობის ბუნების გარკვევის დროს, რადგან მისი (ენამახვილობის) ფორმებს განაგებს შემცველელ წარმოდგენათა შექმნის (образование) კანონები. ოხუნჯობის და გონებამახვილობის მიდრეკილებას შეადგენს გვერდი აუაროს რეალობას და გამოსავალი მისცეს

განდევნილ ინფანტილურ სექსუალურ და აგრესიულ ლტოლვებს. ეს უკანასკნელნი არაცნობიერში იმყოფებიან, ასე რომ, ლოღიკურად, გონებამახვილობა ბოლოს და ბოლოს ამ არაცნობიერის მორჩილ მსახურის როლში გამოდის.

ყოველი მხატვრული სახე ფსიქოანალიტიკების აზრით დაკავშირებულია არაცნობიერთან, უკანასკნელს ჩვენ ვიცნობთ ორი სახით: როგორც „Оно"-ს და „იდეალ-მე"-ს. მხატვრული შემოქმედება იკვებება არა მხოლოდ „Оно" რესურსებით (გოგოლის „Нос"), არამედ „იდეალ-მე"-სთანაც იმყოფება კავშირში.

ზემოდ ნათქვამიდან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელოვნების შინაარსებრივი მომენტი მთლიანად გამოიყვანება ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ წინამძღვრებისაგან. ფსიქოანალიზის სწავლებით, ხელოვნება ასახავს მხოლოდ ფსიქიურ ძალთა ჰიდიოს ადამიანის სულში და ემპირიული სოციალური სინამდვილეკი მისი ყურადღების გარეშე რჩება. აი რა აბსურდამდე მივიდა ფსიქოანალიზი ადამიანის მხატვრულ შემოქმედების ანალიზის პროცესში. ეს ერთგვარი reductio ad absurdum აუცილებელი იყო ფრეიდიზმისათვის.

ჰიპოტეტიურ არაცნობიერზე დაყრდნობილ სკოლის ბედი არც შეიძლებოდა რომ სხვაგვარი ყოფილიყო.

გაფრთხილება

ზოგიერთი ადგილკომები ძლიერ აგვიანებენ ხვედრი ფულის გამოგზავნას, რაიც დიდად აბრკოლებს ჟურნალის თავის დროზე გამოსვლას.

დაბეჯითებით ვთხოვთ ასეთ ამხანაგებს, ადგილკომებს და ერთეულ ხელის მომწერლებს, მათზე დარჩენილი ჟურნალის თვიური საფასური დაჩქარებით გადმოგზავნონ რედაქციაში.

საგამოცდო პროგრამა საბიბლიოთეკო მუშაკის წოდების მისაღებად

(პროგრამა-მინიმუმი) *)

IV. წიგნების კლასიფიკაცია.

1. კლასიფიკაციის მნიშვნელობა ბიბლიოთეკისათვის და მისი დამოკიდებულება დანარჩენ ტეხნიკასთან. 2. ათწილადი კლასიფიკაცია, საგნობრივი რუბრიკები. 3. ათწილადი კლასიფიკაციის სახელმძღვანელოები და მათი მოხმარება. 4. დაშიფრვა (კეტერის ავტორთა ტაბულები).

V. სამკითხველო.

1. გაზეთებისა და ჟურნალების გამოწერა. 2. სამკითხველო ლარბაზის მოწყობილობა. 3. მკითხველთა აღრიცხვა. 4. გაზეთით და რუქით მუშაობა.

VI. ბიბლიოთეკის პოლიტგანმანათლებელი მუშაობა მკითხველთან.

1. მკითხველის მიზიდვა ბიბლიოთეკაში. რევოლუციონურ დღესასწაულების ჩატარება. წიგნის შესწავლა და წიგნის პროპაგანდა პოლიტგანმანათლებელი მუშაობის ამოცანებთან დაკავშირებით. 2. წიგნის დაახლოვება მკითხველთან: წიგნების გამოფენა, სარეკომენდაციო სიები, ღია თაროები, ხმა-მაღლა კითხვა. მკითხველთა ორგანიზაცია ბიბლიოთეკის გარშემო: ბიბლიოთეკის მეგობართა წრეები; კედლის გაზეთი; წიგნის საღამოები; 4. საცნობარო მუშაობა. 5. კითხვით ხელმძღვანელობა. 6. მკითხველთა ინტერესების შესწავლა. (წიგნების ფორმულარების მიხედვით წიგნთა კითხულობის და მკითხველთა მოთხოვნის აღრიცხვა).

VII. ბიბლიოთეკის მეურნეობა და ბიუჯეტი.

1. ბიბლიოთეკის ხარჯთაღრიცხვა. 2. ანგარიშის წარმოება. 3. ბიბლიოთეკის შენობა და მისი მოწყობილობა: განათება, გათბობა, სადგომი.

VIII. ბიბლიოგრაფია.

1. საბიბლიოგრაფიო სახელმძღვანელოების გამოყენება. 2. საბიბლიოთეკონომიო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია. 3. წიგნების ანოტაცია; სარეკომენდაციო სიების შედგენა.

IX. ბიბლიოთეკების მოძრავი მუშაობა.

1. მოძრავი ფონდი. 2. მოძრადის შედგენა. 3. მოძრადის მუშაობის სახეები. 4. მოძრადის ტეხნიკა. 5. მოძრადის ანგარიშება.

*) იხ. „განათლების მუშაკი" № 11.

შენიშვნა 1. ბიბლიოთეკის მცოდნეობაში გამოცდებზე დაშვებისათვის საბიბლიოთეკო მომუშავის წოდების მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნეს:

ა) მოწმობა მე-2 საფეხურის შრომის სკოლის დამთავრების შესახებ (შვიდწლედის—სამაზრო მომუშავეთა მიერ; ცხრაწლედის—ქალაქის მომუშავეთა მიერ).

ბ) მოწმობა ორთვიანი საბიბლიოთეკო პრაქტიკის შესახებ.

შენიშვნა 2. საბიბლიოთეკო მომუშავის წოდების მისაღებად საჭიროა, ბიბლიოთეკისმცოდნეობის გარდა, გამოცდების ჩაბარება პოლიტცოდნაშიც (პირველი საფეხურის პოლიტცოდნის სკოლების პროგრამით) და სამშობლო ენის ლიტერატურის ისტორიაში (მე-2 საფეხურის შრომის სკოლების პროგრამით).

შენიშვნა 3. ბიბლიოთეკის ტეხნიკური მოჰუშავის წოდება ეძლევა მათ, ვისაც ჩაბარებული აქვს გამოცდები ორ შემდეგ სახელმძღვანელოთა ფარგლებში:

Хавкина А. Б., «Руководство для небольших библиотек». Главполитпросвет. «Наглядное пособие по библиотечной технике». საბიბლიოთეკო მუშაკის წოდების მისაღებად, საპასუხისმგებლო საბიბლიოთეკო თანამდებობათა დაჭერის უფლებით, სავალდებულოა არსებულ-საბიბლიოთეკონომიო ლიტერატურის ღრმა ცოდნა პროგრამის ყველა საკითხებზე და საბიბლიოთეკო ან პედაგოგიური სტაჟი.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. **აბეზჰგაუზი გ. და პროტასოვი ა.** პოლიტცოდნა. კომკავშირის პოლიტშკოლათა სახელმძღვანელო. სახელგამი, ტფ. 1927.
2. **მეტრეველი ი. და ბუხნიკაშვილი გ.** პოლიტგანათლება სოფლად. სახელგამი. ტფ. 1925.
3. Белов А. М. Что такое предметный каталог и как его устроить в деревенской библиотеке. М. ГИЗ. 1926 г.
4. Киперман Я. Е. Библиотечные кампании М.—«Долой неграмотность».
5. Доблер Передвижные библиотеки, их организация и техника. М. ГИЗ. 1926 г.
6. „ Инструкция по пересмотру книг в библиотеках. М. «Долой неграмотность». 1926 г.

დამსახურებული სახალხო მასწავლებელი ვლადიმერ იესეს-ძე გაგუა

ჩვენში აქა-იქ კიდევ ცოცხალნი არიან ის სახალხო მასწავლებელნი, რომელნიც 30—40 წლის განმავლობაში, ცარიზმის მძიმე რეჟიმის დროს, სახალხო განათლების საქმეს თავის ნათელ მოვალეობად სთვლიდენ და მასწავლებელის სახით არა მარტო ბავშებს ზრდიდენ, არამედ სოფელსაც პირისუფლობას უწევდენ.

ასეთ დამსახურებულ სახალხო მასწავლებელთა რიგებს ამშვენებს ვლადიმერ იესეს-ძე გაგუა. სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, იგი ტფილისის სემინარიაში შევიდა, მაგრამ აქ გამეფებულ სასტიკ რეჟიმს ვერ შეეგუა და სოფელში დაბრუნდა; პედაგოგიური განათლება მიღებული ჰქონდა ხონის საოსტატო სემინარიაში და 1884 წლიდან სოფ. ნოსირში იწყებს მასწავლებლობას. მძიმე იყო მაშინ სახალხო მასწავლებლების ნივთიერ-უფლებრივი მდგომარეობა, და თუ მაინც იყვნენ მასწავლებელნი, რომელნიც მოთმინებით იტანდენ დევნას, სიცივეს, სიმშილს, სიტიტველეს და სხვა მძიმე პირობებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამას უკარნახებდა შეგნება, მოვალეობა ყველას მიერ დაჩაგრული ხალხის წინაშე, სიყვარული და გატაცება სახალხო საქმით. ასეთ თავდადებულთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა ამხ. ვლ. გაგუამ. სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონში უმუშავნია ამ დაუღალავ მასწავლებელს: ნოსირში, აბაშაში, სუჯუნაში, ხობში, ყულევში და, ბოლოს, ფოთში. ის ყოველგან თავისი ნიჭიერი, ენერგიული და ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობით სკოლას უხვევდა საზოგადოებაში სიყვარულსა და ავტორიტეტს. ამავე დროს ვლადიმერი ეწეოდა რევოლუციონურ მუშაობას. იყო სოც.-დემ. პარტიის წევრი. აწარმოებდა არალეგალურ მუშაობას, ასრულებდა სხვადასხვა რევ. სახის დავალებებს; მისი ოთახი ყოველთვის წარმოადგენდა ადგილობრივი რევოლ. მუშაობის ცენტრალურ ადგილს. მწერლობაშიაც აქვს ამხ. ვლ. გაგუას თავისი წვლილი შეტანილი; ჯერ კიდევ მე-80 წლებში ის გაზ. „ივერიაში“ „ხაკო უჩარდიას“ ფსევდონიმით ათავსებდა წერილებს.



განსაკუთრებული ენერგიით იცავდა ვლ. გაგუა ქართული ენის უფლებებს სამეგრელოს სკოლებში. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სამოსწავლო ოლქის ბრძანებით და აზორდიელთა მეთხებით ქართული ენა მეგრული სკოლებიდან იდევნებოდა, ვლადიმერ გაგუასა და ერმილე შარაშიძის გამბედაობით და მოხერხებით, მათ სკოლებში ყველგან ისწავლებოდა ქართული ენა, ყველა ნახავდით მოწაფეთა ბოხჩებში „დედა-ენასა“ და „ბუნების კარს“. ამრიგად ვლადიმერი ქართული ენისა და კულტურის დამცველად გამოდიოდა და მას ხალხს

აყვარებდა. რუსეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ვლ. გაგუა სენაკის მაზრაში განათლების საქმის ხელმძღვანელად იქნა მოწვეული. დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა, ის გულმოდგინეთ შეუდგა შრომის პრინციპებზე აგებულ ახალი საბჭოთა სკოლის შენებას თავის საყვარელ მაზრაში; მახურებდა ინსტრუქტორის თანამდებობაზე. 1921 წლის მიწურულში განუწყვეტელ მუშაობის გამო მას დამბლა მოუვიდა და დაეცა. ამ ხნიდან ის ავადყოფობამ ჩამოაშორა თავის საყვარელ საქმეს.

37 წლის განმავლობაში ვლ. გაგუა დაუღალავად და ნაყოფიერად, მეტად მძიმე და სულის შემხუთავ პირობებში ემსახურებოდა ხალხის განათლების საქმეს, და ამ ასპარეზზე მან, თავის კეთილშობილ თანამებრძოლებთან ერთად, დიდი კვალიც გაავლო. სენაკის მაზრა კარგად იცნობს მის მუშაობას. განსაკუთრებით მისი სოფლის კოტინეთის კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულებანი—სკოლა, სამკითხველო, კოოპერატიული წისქვილი, კოოპერატიული დუქანი და სხვ., მისი ღვიძლი შვილებია. ამ პატარა წერილში ყველა მისი ნამოღვაწარის აღნუსხვა შეუძლებელია.

განათლების მუშაკთა კავშირის სენაკის განყოფილებას მართებს საჯაროთ აღნიშნოს დაძსახურებული მასწავლებელისა და სახალხო მოღვაწის ვლ. გაგუას 37 წლის ნამოღვაწარი, რაც მოხუცებულის დაავადებულს გულს გაახარებს და მალამოს მოსცხებს, ახალგაზრდებს კი წაახალისებს და იმავე გზით სიარულის ხალისს აღუძრავს.

გ. ბ.

ჰარრიეტ ბიჩერ-სტოუ.



75 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკაში გამოვიდა რომანი: „**ბიძია თომას ქოხი**“. რომანმა უდიდესი გავლენა მოახდინა მთელი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეგნებაზე და აამხედრა ის მონობის წინააღმდეგ.

ამ შესანიშნავი წიგნის ავტორი იყო მასწავლებელი ქალი ჰარრიეტ ბიჩერ-სტოუ (1811-1896). მას კარგი განწყობილება ჰქონდა მონებთან და ხშირად თავშესაფარს აძლევდა გამოქცეულებს, რომელთაგან ყველაფერს გებულობდა მონობის შესახებ. როდესაც მონობის მოძრაობამ სცადეს ბრალი დაედოთ ავტორისათვის სიცრუეში და ცილისწამებაში, მაშინ ბიჩერ-სტოუმ გამოსცა „**ბიძია თომას ქოხის მასალები**“ და გამოაქვეყნა ნამდვილი ფაქტები, რომელზედაც აშენებული იყო მისი რომანი.

ვ. კ.

სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობაზე.

(შთაბეჭდილებები).

სამშაბათს, მარტის 6, ხელოვანთა სასახლეში გაიხსნა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მეორე ყრილობა.

სულ ორი წ ლიწადია გასული პირველი ყრილობიდან, მაგრამ ამ მოკლე დროს განმავლობაში ჩვენი ცხოვრების ჩქარმა ზრდამ ბევრი გადაუდებელი საკითხი წარმოშვა. ეს საკითხები, უპირავრესად, ეხება ჩვენი მწერლობის განვითარების შემდეგ საფეხურებს, მწერლობის მიზნებს, ამოცანებს და საშუალებებს.

ყრილობა ახლო მიუდგა საკითხს კულტურული რევოლუციის შესახებ. აშკარა გახდა, თუ რა ძვირფასია ქართველი მწერლისათვის რევოლუცია, მშრომელი ხალხის მიზნები და კულტურული იდეალები.

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გარშემო საქმიანი კამათი გაიმართა. მოხსენება შეეხებოდა საკითხს კულტურული რევოლუციისა და საბჭოთა მწერლობის ამოცანების შესახებ.

ვრცელი იყო და დასაბუთებული მოხსენება. მსმენელთა წინაშე გადაიშალა ნათელი სურათი საერთაშორისო და შინაური პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობებისა, რომლებშიაც საბჭოთა რესპუბლიკებს უხდება განვითერება, აღინიშნა სიძნელენი განვითარების გზაზე. მაგრამ მიუხედავად მრავალნაირ სიძნელეთა, ეკონომიური ძლიერება წლიდან წლამდე უფრო და უფრო იზრდება და, ამასთან ერთად, თანდათან ვითარდება ჩვენი ქვეყნის კულტურა, მეცნიერება და ტეხნიკა.

ქვეყნის საერთო განვითარება, ცხადია, კულტურის დონის ამაღლებასაც გულისხმობს. კულტურული რევოლუცია მეტად ძნელი საქმეა, რომლის განსახორციელებლად დროა საჭირო და ენერგიული მუშაობა. ამხ. ფილიპემ აღნიშნა დაწვრილებით ის მუშაობა, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ სამოქმედო სარბიელზე გამოსულიყვნენ მუშები და გლეხები. აქ საჭიროა მუშაობაში ჩაებნენ ყველა ძალები, ყველა ელემენტები. ამ მუშაობას ცხადია, გვერდს ვერ აუხვევს ქართველი მწერლებიც. ესენი ყველაზე უფრო დაინტერესებულნი უნდა იყვნენ კულტურული რევოლუციის საკითხებით. აღინიშნა ის გარემოება, რომ პირველი ყრილობის დადგენილების თანახმად, მთავრობას არ დაუკლია ცდა, რომ განხორციელებულიყო ყრილობის მიერ დასახული ამოცანები. მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ გაკეთებულა. საჭიროა ქართველმა მწერალმა მასალა თავისი შემოქმედებისათვის ეძიოს დღევანდელ სინამდვილეში. მწერლობა გვერდში უნდა ამოუდგეს მშრომელ ხალხს.

ყრილობამ დიდის ყურადღებით მოისმინა ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება. კამათი მოხსენების გარშემო მეორე დღისთვის გადაიდო.

ბენიტო ბუჭიძე (საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაცია), არტ. ჭუმბაძე (ქართული აკადემიური მწერლობა), ბეს. ჟღენტი (მემარცხენეობის ჯგუფი), პაოლო იაშვილი (ცისფერი ყანწების ჯგუფი), გერონტი ქიქოძე (არიფიონის ჯგუფი), კონსტ. კაპანელი აი წარმომადგენლები სხვა და სხვა დაჯგუფებათა, რომელნიც სხვადასხვა თვალსაზრისით, მაგრამ გულწრფელად და ახლოს მიუდგნენ მოხსენებაში აღძრულ საკითხებს. აღინიშნა, რომ ძლიერდება ეგრეთ წოდებულ თანამგზავრთა რიცხვი. ითქვა, რომ ქართველი მწერლის უზრუნველყოფისა და კულტურული საქმის განხორციელების მიზნით საჭიროა ქართველი მწერალი გამოყენებული იქნას კულტურული მუშაობის მთელ რიგ დარგებში.

არ არის დაჯგუფება, რომელიც თავის თავს რევოლუციას უპირდაპირებდეს. საკითხი დგას ამ რევოლუციის ასახვისა და შესაფერ ფორმებში მასსებისთვის მიწოდების შესახებ. ქართველ მწერალს მართებს სიძნელეთა დაძლევა და რევოლუციასთან კიდევ უფრო ახლოს მისვლა.

მნიშვნელოვანი იყო მწერალ ქალთა წარმომადგენლების ბაბილინას და ნინო თარიშვილის სიტყვები, განსაკუთრებით უკანასკნელისა. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ქართველი ქალი-მწერლები ძოკლებულნი არიან საშუალებას, რომ ბეჭდონ თავიანთი ნაწარმოებები: მათი სიჩუმე არ აიხსნება იმით, რომ ისინი არ სწერენ, არამედ იმით, რომ მათ ნაწერებს სხვადასხვა რედაქცია არ ბეჭდავს. ყველა გრძნობს, რომ ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს.

დაშამშვიდებელია ამხ. ფ. მახარაძის საბოლოო სიტყვა. სიტყვა ნათელია: ქართული მწერლობა უნდა ეცადოს ახლოს მივიდეს მშრომელ ხალხთან. არ არის აქ საჭირო მისტიციზმი, ფრაზები, გაუგებარი ფორმები. საჭიროა წერა გასაგები ენით. ენას, ენის შესწავლას მწერლებმა (კერძოდ ითქვა პროლ. მწერლებზე) უნდა მიაქციონ დიდი ყურადღება. საერთო ძალღონით სიძნელენი გადალახულნი იქნებიან.

გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებებმა გამოიწვიეს ცხარე კამათი, რომელშიაც ბევრმა მწერალმა მიიღო მონაწილეობა.

აღინიშნა დეფექტები მუშაობაში. კავშირის გამგეობას არ უზრუნია იმაზე, რომ უკედ დაეყენებია გამომცემლობის საქმე. საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით გამოიცეს თარგმნები ქართველ მწერალთა რუსულ ენაზე, უნდა მოეწყოს ხელოვნების სასახლეში ბიბლიოთეკა, რომ მწერალთ საშუალება მიეცეთ დროზე ისარგებლონ ახალი წიგნებით. და მთელი რიგი სხვა საკითხებისა დასმულ იქნა და მხედველობაში მიღებული, რომ მომავალმა არჩეულმა ორგანოებმა ამ შენიშვნებით ისარგებლონ.

ყრილობის მუშაობა გრძელდება.

ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥ.ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡᲐ

ᲒᲐᲜ. ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ Ც. ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

მოისმინა რა ამხ. გეგენავას მოხსენება, კონფერენცია საჭიროდ სცნობს განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნოს ც. გ. მუშაობის გაძლიერება კავშირის ცხოვრების ყოველ დარგში და აგრეთვე ც. გამგეობის მიერ მიღებული უაღრესად საყურადღებო ღონისძიებანი და მიღწევანი:

1) განათლების მუშაკთა მასების კავშირის აპარატთან დასაახლოვებლად აღებული კურსი, რამაც ჰპოვა თავის გამოხატულება კავშირის ძირითად ქსელის რეორგანიზაციაში, გეგმიან მუშაობის გაძლიერებაში და მასების წინაშე ანგარიშების წარდგენის გაძლიერებაში;

2) პროფესიონალური აქტივის ზრდა და მის გამოსაბრძმედად წარმოებული მუშაობა;

3) განათლების მუშაკთა მასებში საკავშირო საკითხებისადმი ინტერესის თვალსაჩინო ზრდა, როგორც ც. გ. მუშაობის სწორად აღებული გეზის შედეგი;

4) კავშირის ფინანსების გასამტკიცებლად ჩატარებული მუშაობა, განსაკუთრებით ც. გ. დავალიანების შესამცირებლად შემცირება;

5) უმუშევართა ფონდის ცენტრალიზაცია და ამ ფონდში $^1/_2\%$-ან ანარიცხების შემოღება, როგორც უმუშევართა რაოდენობის შესამჩნევ ზრდით (კავშირის წევრთა საერთო რიცხვის 13%-მდე) გამოწვეული აუცილებელი ღონისძიება.

6) ენერგიული მუშაობა სამეცნიერო მუშაკთა სექციის ბიუროს მოქმედების გასაძლიერებლად და უაღრესად კვალიფიციურ სამეცნიერო ძალათა ჩასაბმელად განათლების მუშაკთა წრეში და საზოგადოებრივსა და საერთო საკავშირო საქმიანობაში, რაც აღიარებულ იქნა სრულიად საქართველოს სამეცნიერო მუშაკთა 1-ლი ყრილობის მიერ თავის მომავალ მუშაობის ამოცანად, როგორც მეცნიერებისა და შრომის მჭიდროდ დაკავშირების საწინდარი სოციალისტურ მშენებლობის საქმეში;

7) ადგილებისათვის გაწეული სათანადო ხელმძღვანელობა საბიუჯეტო მუშაობის დარგში და ც. გ. მიერ სწორად აღებული ხაზი ამ მუშაობის ამოცანათა განსაზღვრისათვის;

8) შესამჩნევი მუშაობა განათლების მუშაკთა, განსაკუთრებით კი ჩამორჩენილ ჯგუფების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით;

9) არსებულ ეკონომიურ პირობებში მიღწეული შედეგები განათლების მუშაკთა ხელფასის ასაწევად (ხელფასის გადიდება მასწავლებლობისათვის, სკოლის დარაჯებისათვის და საცდელ-საჩვენებელ სკოლებში 1927 წ. 1 ივლისიდან,

უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო მუშაკთათვის—1927 წ. 1 ოქტომბრიდან, მათთვისვე—ა/წ. 1 იანვრიდან და 1-ლი და მე-2-ე საფეხურის სკოლების მასწავლებელთათვის—ა/წ. აპრილიდან);

10) ც. გ. სიფხიზლე განათლების მუშაკთა უფლებრივ მდგომარეობის საკითხებისადმი;

11) მასწავლებელთა მატერიალურ და უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მიღებული ღონისძიებანი კომუნალურ საჭიროებათა დაკმაყოფილების, საარდადეგო დროის მოწესრიგების, პერიოდულ მომატებათა გატარების და ბინის ქირის მართებულად აღრიცხვის საკითხებში და აგრეთვე სამეცნიერო მუშაკთა პენსიით უზრუნველყოფის მიმართულებით;

12) განათლების მუშაკთა შორის კულტგამნათლებელ მუშაობის დარგში სწორად აღებული გეზი, რამაც ჰპოვა თავის გამოხატულება გამგეობის მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებაში განათლების მუშაკთა მასების თვითგანვითარების საკითხებისადმი, რაც სავსებით დროულია და უდავოდ შეესაბამება მასების ნაძდვილ ინტერესებს;

13) კულტგანმანათლებელ მუშაობის გაძლიერებისათვის მიღებული ღონისძიებანი, კერძოდ ადგილების ფინანსიურ ბაზის განმტკიცება, როგორც ძირითად კულტმუშაობის გაძლიერების აუცილებელი წინა პირობა;

14) ც. გ. მიერ გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღება მოძრავ ბიბლიოთეკების, ექსკურსიებისადმი და სხ., როგორც სავსებით დროული ღონისძიება;

15) საზოგადოებრივ მუშაობაში განათლების მუშაკთა ახალ მასების ჩასაბმელად წარმოებული მუშაობა;

ამასთანავე განათლების მუშაკთა კონფერენცია, აღნიშნავს რა ქვემოდ მოყვანილ ღონისძიებათა შემდეგში გატარების საჭიროებას, ადგენს:

1) დასრულებული იქნეს ძირითად ქსელის რეორგანიზაცია ამ უკანასკნელის დასაახლოვებლად განათლების მუშაკთა მასასთან; როგორც ყრილობის მითითებათა, ისე ცენტრ. გამგეობის მე-11-ე პლენუმის დადგენილებათა საფუძველებზე;

2) გაგრძელებულ იქნეს შემდეგშიაც მუშაობა განათლების მუშაკთა მასის ჩასაბმელად კავშირის ცხოვრების ყველა საკითხის შესახებ მსჯელობა-კამათში, რისთვისაც საჭიროა საერთო კრებების და ყველა საკავშირო ორგანოთა არჩევნების მართებულად ჩატარება, მთელი მუშაობის აგება არჩევითი ორგანოების და კავშირის თანამდებობის პირთა მიერ ანგარიშების გაძლიერების საფუძველებზე და საერთო კრებებზე წამოსაყენებელი საკითხების შერჩევისათვის სათანადო ყურადღების მიქცევა;

3) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პროფესიული აქტივის აღზრდას და გამაგრებას, როგორც მისი ჩაბმით კავშირის ყოველდღიურ მუშაობაში და სათანადო ინსტრუქციების მოწოდებით, ისე კულტგანმანათლებელი მუშაობის ხაზით გატარებულ ღონისძიებებითაც;

4) გაგრძელებული იქნეს მუშაობა, როგორც ცენტრალურ გამგეობის, ისე ადგილობრივი ორგანოების მუშაობის ღირსების გასაუმჯობესებლად (გეგმების, ხარჯთ-აღრიცხვების და სხვ. შესრულების ღირსება).

5) მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება სამაზრო განყოფილებათა ფინანსიურ დისციპლინას, რისთვისაც მიეცეს მათ სათანადო მითითება საფინანსო

დირექტივებისა და ც. გამგეობისადმი საფინანსო ვალდებულებათა ზედმიწევნით შესრულების საჭიროებისა და დარღვევის დაუშვებლობის შესახებ, კერძოდ კი აღნიშნულ იქნას პროცენტული ანარიცხების მხრივ დიდი დავალიანების შეუწყნარებლობა;

6) აღებული იქნეს მტკიცე გეზი სარევიზიო კომისიების მუშაობის გასაძლიერებლად და მოსაწესრიგებლად;

7) სათანადო ყურადღება მიექცეს უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხებს, გაძლიერდეს მუშაობა უმუშევართა გადასამზადებლად და მათი კვალიფიკაციის ასაწევათ, ადგილების მიერ უმუშევრებისათვის დახმარების გაძლიერებასთან ერთად;

8) განსაკუთრებული ყურადღებით და სიმტკიცით გაგრძელებული იქნეს შემდეგშიაც მუშაობა განათლების მუშაკთა შრომის ხელფასის ასაწევად და მიღებული იქნეს ზომები ჯგუფების რიცხვის I-ლ საფეხურის მასწავლებელთა რიცხვთა მიახლოვებისათვის, აღინიშნოს აგრეთვე აუცილებლობა კოლხელშეკრულებათა დროულად დადებისა და მათი წინასწარ განხილვისა ადგილებზე;

9) I და II საფეხურის სკოლების მასწავლებელთა შრომის ხელფასის გასადიდებლად გაღებულ სახსრების გამოყენების დროს განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე წამოყენებული იქნეს შემდეგი დებულებანი: ამ თანხების სრულად გამოყენება მარტოოდენ I და II საფეხურის სკოლის მასწავლებელთა ხელფასის გასადიდებლად, მე II-ე საფეხურის სკოლაში კვალიფიციურ ძალთა მიზიდვის საჭიროებისათვის სათანადო ანგარიშის გაწევა, ახალი გახაკვეთების გატარების დროს აუცილებლად დატოვება ორი ჯამაგირისა მაინც, სტაჟის და ცენზის გამოხატვის მიზნით, წერითი მუშაობის გასწორებისათვის გასამრჯელოს გაცემა, შრომის ნორმების დარგში დღემდე არსებულ დარღვევათა გამოსწორება;

10) მომავალი საბიუჯეტო წლისათვის პირველ რიგში წამოყენებული იქნეს საკითხი პერიოდულ მომატებათა გატარების შესახებ;

11) გაგრძელებული იქნეს მუშაობა სოფლად განათლების მუშაკთა კომუნალურ საჭიროებათა მხრივ უზრუნველყოფისათვის;

12) მიღებული იქნეს ზომები განათლების განყოფილებათა მიერ მასწავლებლობის დატვირთვის საკითხის მოსაწესრიგებლად, განსაკუთრებით ქალაქის ადგილებში;

13) წარმოებულ იქნეს შემდეგშიაც სასტიკი ბრძოლა განათლების მუშაკთა უფლებების დარღვევათა წინააღმდეგ; ამასთანავე ამ მუშაობის ჩატარება უნდა ხდებოდეს თვით კავშირის ორგანოთათვის უფრო მეტ მოთხოვნილებათა წარდგენის გზით;

14) მასიურ ეკონომიურ მუშაობის დარგში წარმოებული მუშაობა მიჩნეულ იქნეს სრულიად არა დამაკმაყოფილებლად და აღინიშნოს კონკრეტიულ გეგმის შემუშავების საჭიროება კავშირის მუშაობის, ამ ერთობ საყურადღებო მუშაობის მოსაწესრიგებლად;

15) ჩვენი კავშირის წევრთა შორის კულტგანმანათლებელ მუშაობის უაღრეს მნიშვნელობის გამო აღიარებულ იქნას კულტ-მუშაობისათვის ფინანსიური ბაზის შემდგომი გაძლიერების განსაკუთრებული საჭიროება;

16) კულტგანმანათლებელ მუშაობის ჩასატარებლად სხვა ღონისძიებათა შორის საჭიროდ იქნას ცნობილი არა უშუალოდ სწავლების (დაუსწრებელი) კურსების მოწყობა შეძლებისდაგვარად;

17) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თანადროულობის საკითხებს, როგორც საზოგადოებრივ—პოლიტიკურ ცხოვრების, აგრეთვე სახალხო განათლების დარგში, უმთავრესად ს. ს. რ. კ. საერთაშორისო მდგომარეობის, ქვეყნის თავდაცვის და ინდუსტრიალიზაციის საკითხების გარშემო, სოციალისტურ აღმშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით;

18) გაძლიერდეს ყურადღება მასაში პერიოდულ გამოცემათა (გაზეთების, ჟურნალების და სხვა) შეტანა—გავრცელებისადმი;

19) ჯეროვანი ყურადღება აღმოეჩინოს მაზრებში განათლების მუშაკთა სახლების მუშაობის განმტკიცებას;

20) აღებულ იქნას გეზი განათლების მუშაკთა მასების ახალ ფენების საზოგადოებრივ მუშაობაში ჩასაბმელად, ამ მუშაობაში მათთვის დახმარების მოწესრიგებისათვის, უმთავრესად კი დიდი ყურადღება მიექცეს ქალაქის ადგილას მყოფ განათლების მუშაკთა ჩაბმას ამ მუშაობაში;

21) აღიარებულ იქნას, რომ განათლების მუშაკთა ორგანო, რომლის არსებობა აბსოლიუტურ საჭიროებას წარმოადგენს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატარებდეს შემთხვევითი ხასიათის წერილებით შევსებულ ჟურნალის ხასიათს, გაცილებით უფრო მეტად უნდა სახავდეს საკავშირო ცხოვრებას, უფრო შესაფერისად უნდა ემსახურებოდეს მასებს, სრული სისავსით უნდა არკვევდეს განათლების მუშაკთა ინტერესებს, უნდა ამზადებდეს მუშაკთა ახალ კადრებს, სათანადო ყურადღებას უნდა იჩენდეს პროფესიონალურ აქტივის აღზრდისათვის იდეოლოგიურ მუშაობისადმი და აგრეთვე კავშირის პროფესიონალურ და ეროვნული უმცირესობათა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისადმი.

22. მიღებულ იქნეს ზომები, რათა ეროვნული უმცირესობანი უზრუნველყოფილი იქნენ ლიტერატურით სათანადო ენებზე.

23. პროფწრეებში კავშირის წევრთა მაქსიმალურად ჩაბმის მიზნით საჭიროდ იქნეს ცნობილი პროფწრეების პროგრამების სპეციფიკაცია ამა თუ იმ გაერთიანებებში შემავალ წევრთა განვითარების დონესთან შეფარდებით. (ტექნიკური პერსონალი, მასწავლებელნი, უმაღლეს სასწავლებელნი, კომუნივერსიტეტი, საბჭოთა პარტსკოლა, მუშფაკი).

კავშირის მასიურ მუშაობის შესახებ.

განათლების მუშაკთა სრულიად საქართველოს კონფერენციამ, მოისმინა რა ამხ. პოლოსოვის მოხსენება კავშირის მასიური მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ჩვენი პროფორგანოების გაძლიერება და პროფკავშირის მასის აღორძინებული ინტერესი პროფმუშაობისადმი პირველ რიგში აყენებს გადაუდებელ და ძირითად ამოცანას—მასიური მუშაობის გაფართოვებას, გაღრმავებას და მოწესრიგებას ჩვენი კავშირის ყველა ორგანოებში, რისთვისაც კონფერენცია ადგენს:

1. გაფართოვებულ და გაღრმავებულ იქნეს მასიური მუშაობა როგორც ქალაქში, ისე სოფლად, მიეცეს მას სისტემატიური და ნორმალური მსვლელობა.

2. მასიური მუშაობა ფართოდ იქნეს გამოყენებული კავშირის მასის აღზრდის, შეკავშირებისა და კავშირის ორგანოებთან მისი დაახლოვების საქმეში.

3. მასიური მუშაობის წარმატებით განვითარების მიზნით წარმოებულ იქნეს მასის ჩანწყობილებისა და მოთხოვნილებათა აღრიცხვა, მიღებულ იქნეს ზომები, როგორც ორგანიზაციული, ისე ტეხნიკური იმ დაბრკოლებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლის საკავშირო მუშაობის ამ სახის ნორმალურ განვითარებას.

4. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მასიურ მუშაობის ის ფორმები, რომლებიც დღემდე იყო პრაქტიკაში: ა) ძირითად პროფუჯრედში გაერთიანებულ კავშირის წევრთა საერთო კრებები (ადგილკომში, პროფრწმუნებულთან), ბ) კავშირის წევრთა საერთო კრებები ქალაქის მაშტაბით, გ) კავშირის წევრთა რაიონული კრებები ქალაქში, დ) რაიონული კრებები მაზრებში, ე) დელეგატთა კრებები, ვ) ძირითადი უჯრედების მომუშავეთა თათბირები და კონფერენციები, ი) კავშირის წევრთა ცალკე ჯგუფის საერთო კრებები, ზ) პროფუმცირესობათა საერთო კრებები.

მომავალში მიღებული იქნეს აგრეთვე ზომები მუშაობის ჩამოთვლილ ფორ. მათა ხარისხის გასაუმჯობესებლად.

5. მასიურ მუშაობის ამა თუ იმ ფორმის შერჩევაში გამოჩენილ უნდა იქნეს მაქსიმალური მოქნილობა აღებულ ჯგუფის პირობებისდამიხედვით (კრების დროის დანიშვნისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაწესებულებათა ტიპი, მეცადინეობა სხვადასხვა წყებაში და სხვა).

6. კრებებზე და კონფერენციებზე უნდა ისმებოდენ პროფორგანოებისა და განათლების ორგანოების საანგარიშო მოხსენებანი, პოლიტსაკითხები, კოლხელშეკრულებათა განხილვა, უმაღლეს ორგანოებისა და ყრილობების დადგენილებათა დამუშავება და, რაც მთავარია, სიკითხები, რომლებიც აშუქებს შეკრებილ ჯგუფის, კოლექტივის საჭიროებას და გამომდინარეობს მათი ყოფა-ცხოვრებიდან და შრომის პირობებიდან.

7. საერთო კრებების მოწვევის დროს მხედველობაში, მიღებულ იქნეს მოსაწვევ დაწესებულებათა ხასიათი და ტიპი და უმთავრესად, კრებები უნდა შესდგებოდეს ერთგვარ დაწესებულებათა მომუშავეთაგან ან ცალკე კოლექტივისაგან.

ჯგუფურ ადგილკომებში კი საერთო კრებები უნდა იწვევოდეს ცალკე კოლექტივებში ან კრების დრო შეეფარდოთ უმრავლესობისათვის მოხერხებულ დროსთან (მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს მეცადინეობა ორ-სამ წყებაში და სხვა).

8. მიეცეს დირექტივები ძირითად პროფუჯრედებს, რომ მაქსიმალური ინიციატივა გამოიჩინონ მასიურ მუშაობის წარმოებაში, ზემდგომ ორგანოებმა კი მათ გაუწიონ ფართო დახმარება და ხელმძღვანელობა.

9. საერთო კრებების მოწვევა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს შეფარდებული საწარმოო ხასიათის კრებებთან და უნდა იწვევოდეს ცალკე კრებები პროფსაკითხებისათვის.

10. საერთო კრებების უფრო ნაყოფიერ და წარმატებით მუშაობის მიზნით, კრებები უნდა იწვეოდეს სისტემატიურად და არა შემთხვევიდან შემთხვევამდე.

11. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სადელეგატო ინსტიტუტის მუშაობის გაძლიერებასა და გაკონკრეტებას და მასიურ მუშაობაში მათ ჩაბმას.

12. გაძლიერებულ იქნენ მასიური მუშაობისათვის ფინანსიური შესაძლებლობანი.

13. სათანადო ყურადღება მიექცეს საერთო კრებებისათვის საკითხების შერჩევას, დღის წესრიგი არ უნდა იტვირთებოდეს მრავალი საკითხებით, არ უნდა ისმებოდეს დაუმუშავებელი საკითხები, გამოყოფილ უნდა იქნეს მომზადებული მომხსენებლები, უნდა სრულდებოდეს საერთო კრებების დადგენილებები და სხვა.

14. შეძლებისდაგვარად შეკვეცილ და მოწესრიგებულ იქნეს (სამუშაო გეგმებში გათვალისწინება) ყოველგვარი კამპანიების ჩატარება საკავშირთაშორისო ორგანოების მეშვეობით.

15. ქალაქებში საერთო კრებების მაგიერად მიზანშეწონილად ჩაითვალოს კონფერენციების მოწვევა.

16. გაძლიერებულ იქნეს მასიური მუშაობა პროფუმკირესობათა შორის.

17. ჩატარდეს მასიურ მუშაობის ზუსტი აღრიცხვა. ამ მიზნით კონფერენცია ავალებს ც. გამგეობას დაამუშავოს აღრიცხვის ფაქტი და დაუგზავნოს ადგილებს.

რ ე ზ ო ლ უ ც ი ე ბ ი

საქ. განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობის მეოთხე კლენუმისა

კავშირის ფინანსიურ მუშაობის შესახებ.

აღვნიშნავთ რა კავშირის ფინანსიურ მუშაობის უდაო წინსვლასა და გაუმჯობესებას, ორგანიზაციების უმრავლესობის ხარჯთაღრიცხვითი არსებობაზე მტკიცედ გადასვლას, კავშირის თანხების ხარჯვაში დისციპლინის გ ნმტკიცებასა და ამაღლებას, აგრეთვე კავშირის წევრების მოთხოვნილებათა და საჭიროების უშუალო დასაკმაყოფილებლად ფონდების გაძლიერებას, ც. გ. მე-4 პლენუმი ადგენს:

1. მიმდინარე წლის პირველ ნახევარშივე დამთავრდეს კავშირის ყველა საფეხურის ორგანოების ხარჯთაღრიცხვითი არსებობაზე გადასვლა.

2. ფინანსიურ მუშაობის ნორმალურად მსვლელობის ერთერთ პირობად ჩაითვალოს ხარჯთაღრიცხვებისა და ფინანგარიშების წარმოდგენა, როგორც სამგანყოფილებათა, ისე ადგილკომების მიერ (კავშირის ც. გ.-ს მიერ დაწესებულ ვადებში).

3. მიექცეს განსაკუთრებელი ყურადღება ფინანგარიშების სწორ შედგენასა და ფინანსიურ საქმისწარმოებას, რისთვისაც სამგანყოფილებათა მომუშავეებს მიეცეს ფართო სახელმძღვანელო ინსტრუქცია.

4. მტკიცედ იქნეს დაცული კავშირის ყველა ორგანოებში პასუხისმგებელ ხაზინადარის გამოყოფა და არ იქნეს დაშვებული მათი შეთავსება თავმჯდომარის ან მდივნის მიერ.

5. მიღებულ იქნეს ზომები სარევიზიო კომისიების მუშაობის გამოსაცოცხლებლად და აღმოუფხვრილ იქნეს სარევ. კომისიების მიერ ფორმალური და მექანიკური მიდგომა კავშირის ორგანოს ფინანსიურ მუშაობისადმი.

კავშირის ორგანოების სხდომებზე, განსაკუთრებით საფინანსო საკითხების გარჩევის დროს, მოწვეულ უნდა იქნენ სარ. კომის. წევრებიც ამ საკითხების გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობის მისაღებად.

შემოსავლის ნაწილში.

6. გატარდეს შემოსავლის ზუსტი აღრიცხვა და არ იქნეს დაშვებული შემოსავლის ხელოვნური გადიდება (2 პროც. ანარიცხებით) იმ მოსაზრებით, რომ იმას შეუფარდონ გადამეტებული გასავალი. აგრეთვე ზომები იქნეს მიღებული ფაქტიურ შემოსავლის შემცირების ტენდენციის წინააღმდეგ.

7. სწორმოეწყოს საწევრო ანარიცხების ზუსტი აღრიცხვა და კონტროლი მისთვის სათანადო ფორმების შემოღებით (ც. გ. ფორმები). ფართოდ იქნეს გამოყენებული ამ კრებათა ინსტიტუტი და მანამდემდე იქნეს დაყვანილი საწევრო ანარიცხებით დავალიანება. გამომუშავებულ იქნეს ფორმა, რომლის საშუალებით სამ. განყოფილებებს შეეძლებათ კონტროლის გაწევა ადგილკომებისათვის ანარიცხების შეძლებაში.

8. გაძლიერებულ იქნეს ადგილკომებზე კონტროლის გაწევა და მოწესრიგდეს სარევიზიო კომისიების მუშაობა კავშირის ფინანსებით ბოროტმოქმედების საწინააღმდეგოდ.

9 მიღებულ იქნეს ზომები, რომ კულტფონდისა და ადგილკომის შესანახი პროც-ული დანარიცხები თავის დროზე ეგზავნებოდეს ადგილებს.

გასავლის ნაწილში

10. აღებულ იქნეს მტკიცე კურსი შტატების შემცირებისა და აპარატის შესანახ თანხების შესაკვეცად შესაძლებლობის ფარგლებში.

11. ჩაითვალოს მიზანშეწონილად საორგანიზაციო ხარჯების გაღება (5%) ადგილებთან ცოცხალი კავშირის გაძლიერების, ძირითად ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისა და მასიურ მუშაობის გაფართოვების მიზნით.

12. ჩაითვალოს დაუშვებლად დღემდე ზოგან კიდევ არსებული ადგილკომის ფონდის ცენტრალიზაცია და ყველა ორგანიზაციებში საბოლოოდ გატარდეს ფონდის დეცენტრალიზაცია, რითაც უზრუნველვყოფთ კავშირის წევრებისათვის უშუალო სამსახურის გასაწევად თანხების გაძლიერებას.

13. მაქსიმალურად და რაციონალურად იქნეს გამოყენებული უმუშევართა დახმარების ფონდი, თანახმად ც. გ. №-3 პლენუმის დადგენილებისა.

14. გაძლიერებულ იქნეს საკურორტო ფონდი იმ ორგანიზაციებში, სადაც ასეთი არის და შეიქმნეს ასეთი ფონდი იმ ადგილებში, სადაც განათლების მუშაკნი განსაკუთრებით საჭიროებენ საკურორტო დახმარებას.

15. აღვნიშნავთ რა კულტფონდის გაძლიერებას, აუცილებელია განვაგრძოთ აღებული ხაზი და გადარიცხვა ხარჯთაღრიცხვებით ავიყვანოთ არა ნაკლებ 15 პროც.-დე.

16. კატეგორიულად აეკრძალოს ყველა ორგანიზაციებს სესხის გაცემა, რასაც დღემდის ადგილი აქვს.

17. აღმოიფხვრას გასავლის შეუფარდებლობა ფაქტიურ შემოსავალთან და აგრეთვე ერთი ფონდიდან მეორე ფონდში თანხების გადარიცხვა ზემდგომ საკავშირო ორგანოების ნებადაურთველად.

18. მიღებულ იქნეს ენერგიული ზომები ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ნაშთების ც. გ-ში გადაგზავნის მოსაწესრიგებლად და ხარჯთაღრიცხვითი ფინვალდებულებების შესასრულებლად.

საექსკურსიო მუშაობის შესახებ.

(მომხს. ამხ. ჭეიშვილი)

1. განათლების მუშაკნი ბოლო ხანებში დიდ ინტერესს იჩენენ ექსკურსიებისადმი. უკანასკნელნი წარმოადგენენ საუკეთესო საშუალებას თვითგანვითარებისა და გონივრულ გართობისას, ამიტომაც გეგმიანმა საექსკურსიო მუშაობამ კულტმუშაობის საერთო ქსელში მომავალშიც მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს.

2. უნდა გაძლიერდეს ექსკურსიები ადგილობრივი მხარის (მაზრა, რაიონი, თემი) შესასწავლად. ამგვარი ხასიათის ექსკურსიებს აწყობენ ადგილობრივი საკავშირო ორგანიზაციები. რესპუბლიკის და საკავშირო რესპუბლიკების ფარგლებში კი ექსკურსიების მოწყობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს კავშირის ც. გამგეობა.

3. ნივთიერი ხელმოკლეობა ძალზე აფერხებს საექსკურსიო მუშაობის განვითარებას, ამიტომ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ამ მიზნისათვის საჭირო ეკონომიური ბაზის შექმნას. საკავშირო ორგანიზაციებმა ამ მიზნისათვის უნდა გაიღონ კულტფონდიდან არა ნაკლები 10 პროც-სა. მოეწყოს ფასიანი საღამოები, კონცერტები და სხვა. აგრეთვე გან. სახალხო კომისარიატსა და განყოფილებების წინაშე უნდა დაისვას საკითხი საექსკურსიო მუშაობის გაძლიერების მიზნით სახსრის გაღების შესახებ. საექსკურსიო თანხა უნდა იხარჯებოდეს ბაზების მოსაწყობად, ხელმძღვანელებზე და ნაწილი კი უნდა მიეცეს ექსკურსანტებს ექსკურსიების გაიაფების მიზნით.

4. მასიურ ექსკურსიების მოსაწყობად საუკეთესო საშუალებად უნდა ჩაითვალოს ექსკურსიებში მონაწილეთა მიერ თანდათანობით თანხის დაგროვება ყოველთვიურად. ექსკურსანტს უბრუნდება დაგროვილი თანხა, თუ მან რაიმე მიზეზის გამო ექსკურსიაში მონაწილეობა ვერ მიიღო.

5. საექსკურსიო მუშაობის სახელმძღვანელოდ არსდება ტფილისში და სამაზრო ცენტრებში საექსკურსიო ბიუროები, სადაც შედიან გამგეობის მუშაკნი გან. განყოფილებების წარმომადგენელნი და სხვა ორგანიზაციებიდან მცოდნე პირები. ბიუროების მოვალეობას შეადგენს ადგილობრივი საექსკურსიო მარშრუტების გამომუშავება, ექსკურსიების ჩატარება, ადგილობრივი ბაზების მოწყობა, საექსკურსიო მუშაობის აღრიცხვა და სხვა.

6. მნიშვნელოვან ცენტრებში ექსკურსიებისათვის უნდა მოეწყოს ექსკურსბაზები, ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნეს გან. მუშ. სახლები, გან. კუთხეები და სკოლები, რომლის შესახებ წინასწარ უნდა მოხდეს შეთანხმება გან. განყოფილებასთან.

7. ექსკურსიების მარშრუტი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ მოგვცეს საბოლოოდ მრავალმხრივი წარმოდგენა ადგილობრივ მხარის შესახებ. ექსკურსიები მიზნად უნდა ისახავდეს ადგილობრივ მხარის ეკონომიურ, პოლიტიკურ და ყოფა-ცხოვრების შესწავლას.

8. ჟურნალ „განათლების მუშაკ"-ში სისტემატიურად უნდა შეიქმებოდეს საექსკურსიო მუშაობის მსვლელობა და მისი შედეგები.

9. საექსკურსიო მუშაობის აღრიცხვას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ საშუალება მოგვეცეს წარსულში ჩადენილი შეცდომები თავიდან ავიცილოთ და მომავალში სამუშაო-საპერსპექტივო გეგმა სისწორით შევადგინოთ.

10. სასურველად იქნეს ცნობილი სსრკ-ში მიმავალ ექსკურსიის სვლიგეზის შედგენა იმ ანგარიშით, რომ ექსკურსანტებმა შესძლონ ყველა თვალსაჩინო ადგილების დათვალიერება, ვიდრე ექსკურსიის დაწყებითი პუნქტს მიაღწევდნენ.

11. დაევალოს ყველა ექსკურსბიუროებს დეტალურად დაამუშავონ ექსკურსიების ორგანიზაციული საკითხები, რათა ნაკლებ ენერგიის დახარჯვით შესაძლებელ გახდეს უდიდესი შედეგის მიღწევა.

მასიურ ეკონომიურ მუშაობის შესახებ.

განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. მე-4 პლენუმმა მოისმინა რა ამხ. გეგენავას მოხსენება მასიურ ეკონომიურ მუშაობის შესახებ დაადგინა:

1. საკითხი მასიურ ეკონომიურ მუშაობის შესახებ დამუშავდეს პროფაქტივის კრებებზე.

2. შედგენილ იქნეს კონკრეტიული გეგმა საერთო კრებებისა მათი მუშაობის შინაარსის აღნიშვნით.

3. მიღებულ იქნეს ზომები, რათა დაარსებულ იქნეს კომისიები ადგილებზე კონფერენციებისა და გადასამზადებელ კურსების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და საორგანიზაციო-მეთოდიურ მხარეების დასამუშავებლად.

4. აღრიცხოს საკითხები, რომელთა შესრულება და ცხოვრებაში გატარება შესაძლებელია.

5. მითითებანი შესრულების აღნიშვნით, როგორც ნაკრები, გამოიგზავნოს ც. გამგეობაში.

მოძრავი ბიბლიოთეკების ორგანიზაციის შესახებ.

1. განათლების მუშაკთა კულტურული ზრდა და თანამედროვე მომენტის მოთხოვნანი დაბეჯითებით გვიკარნახებენ მოძრავი ბიბლიოთეკების მოწყობას, რომ მით დაუახლოვოთ წიგნები მკითხველებს.

2. სტაციონალური ბიბლიოთეკები ეწყობა მაზრებში გან. მუშ. სახლებთან, თუ სახლები არ მოიპოვება—სამაზრო განყოფილებებთან და რაიონებში—სარაიონო სკოლებთან. სტაციონალური ბიბლიოთეკები ეწყობა კავშირის და განათლების განყოფილებების ხარჯზე. ამ ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობა ევალება საკავშირო ორგანიზაციებს საბიბლიოთეკო კომისიების საშუალებით (იხ. გან. მუშ. № 1).

3. სტაციონალური ბიბლიოთეკიდან შეიძლება გამოყოფილ იქნეს მოძრავი ფონდი, თუ ბიბლიოთეკას საკმაოდ მოეპოვება სახსარი. ის ბიბლიოთეკები, რომლებიც ვერ შესძლებენ მოძრავ ფონდის ჯეროვანად შევსებას წიგნებით, მოძრავ ფონდს არ გამოყოფენ.

4. მოძრავ ბიბლიოთეკებს და კოლექტიურ აბონიმენტებს აწყობს ადგილობრივი სტაციონალური ბიბლიოთეკა ან, სადაც ასეთი არ არის, ამ მიზნით ეწყობა ადგილობრივი მოძრავი ბაზა, ცენტრი კი უწევს მხოლოდ საერთო ხელმძღვანელობას.

5. სტაციონალურ ბიბლიოთეკების წიგნებით შევსებისას მხვედველობაში უნდა იყოს მიღებული განათლების მუშაკთა მოთხოვნილებანი, თანადროულობის და საკავშირო ორგანოების მიერ დასახული ამოცანები.

6. ეოთი კავშირის ბიბლიოთეკას, წინასწარ შეთანხმებით, შეუძლია მიიღოს მეორე საკავშირო ან პოლიტ. განათლების ბიბლიოთეკიდან მოძრავი ბიბლიოთეკები და კოლექტიური აბონიმენტები, მხოლოდ ერთი პირობით—ხელმძღვანელობა მიღებულ ბიბლიოთეკების მუშაობისა ეკუთვნის იმ ბიბლიოთეკას, რომელიც ასეთებს ღებულობს.

7. მოძრავი ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ უნდა ეგზავნებოდეს სათანადო ინსტრუქცია ამ დარგში მომუშავე ამხანაგებს. სააღრიცხვო ფურცელი სისტემატიურად უნდა ივსებოდეს და იგზავნებოდეს ც. გამგეობაში მუშაობის შესაჯამებლათ.

8. მოძრავი ბიბლიოთეკის წიგნები შეიძლება ნაწილობრივ გამოიცვალოს განსაზღვრულ წიგნებით მკითხველების მოთხოვნის თანახმად. ამ შემთხვევაში მოძრავი ბიბლიოთეკა უახლოვდება კოლექტიურ აბონიმენტს.

9. ვინაიდან ბიბლიოთეკების საორგანიზაციო ხარჯებისათვის საჭირო თანხები არ მოგვეპოვება, მეორეს მხრივ კი მოძრავ ბიბლიოთეკების მოთხოვნილება დიდია, საჭიროა განათლების მუშაკებმა ამ საქმეში ფართოდ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივი წესით. მოძრავი ბიბლიოთეკების მიწოდება ადგილებისათვის შეიძლება (მოთხოვნის შემდეგ) ჩამოსულ ამხანაგების და ფოსტის საშუალებით.

10. რაიონების ადგილკომებმა სტაციონალურ ბიბლიოთეკების მოსაწყობად უნდა გაიღონ არა ნაკლები კულტფონდის 30 პროც. გან. განყოფილებებმა ამ საქმის მოგვარებაში უნდა გაიღონ მაქსიმუმი შესაძლებლობისა, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლები იმ თანხისა, რომელსაც იღებენ ადგილკომები. (იხ. ჟურნ. გან. მუშ. № 1).

11. პატარა ბიბლიოთეკები (ადგილკომებთან არსებული) გადატანილი უნდა იქნენ იმ ცენტრებში, სადაც გაზრახულია სტაციონალური ბიბლიოთეკების ან მოძრავი ბაზის მოწყობა, მხოლოდ ერთი პირობით, რომ ადგილკომებს მოძრავი ბიბლიოთეკები უნდა გადაეცეს დაუყოვნებლივ. ადგილკომებს შეუძლიათ ასეთი პირობებში იქონიონ მოძრავი ბიბლიოთეკის გარდა საცნობარო ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები.

წერილი რედაქციის მიმართ

ამბ. რედაქტორო! „კომუნისტის“-ს № 34 მოთავსებული იყო „პედაგოგი“-ს ფსევდონიმით ხელმოწერილი ბიბლიოგრაფია ჩემი წიგნის—„ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილვის“ შესახებ. ვინაიდან წერილი თავიდან ბოლომდე შემცდარ დებულებებზეა დამყარებული და მისი ავტორი ოდნავ მიუდგომლობასაც ვერ იჩენს, გთხოვთ ნება მომცეთ პასუხი გავცე მას. ეს პასუხი მით უფრო საჭიროა, რომ საქმე ეხება ქართული ლიტერატურის კვლევის საკითხებს და ახალთაობის აზროვნების საღ პედაგოგიურ გზაზე დაყენებას. აქ არ არის მარტო წიგნის ავტორის შელახული პირადი ინტერესები,—საკითხს ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

რეცენზენტი სწერს: „ეროვნულ საკითხის განყოფილებაში ბატონ მურსაქართველოსათვის (ხაზი ყველგან ჩვენია) მებრძოლ მგოსნებს ის (ე. ი. მე) რაღაც რევოლუციონერებად და მთელ საქართველოსათვის თავდადებულ მებრძოლებად სთვლის. ხსენებულ მწერალთა უმრავლესობა იბრძოდა არა საქართველოს განსათავისუფლებლად, არამედ რუსთა მართველობით დაკარგულ თავის ვიწრო პრივილეგიურ უფლებების აღდგენისათვის“. ამ აზრის უფრო გასამახვილებლად მე უფლება მაქვს დავსძინო შემდეგი: გამოდის რომ ჩვენი დიდი მგოსნები ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი, ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა, როდესაც საქართველოს ბედს დასტიროდენ, მიზნად ჰქონდათ დასახული ძველი, ბატონყმური საქართველოს აღდგენა. რათა ლუარსაბ თათქარიძესთან ერთად მათაც ყმები ეწვალებინათ და მერე მათი ნაოფლარით გამაძღრებს, ჭერზე ბუზები ეთვალათ. თუ რეცენზენტს დაუჯერებთ, ეს დასკვნაც აუცილებლივ უნდა მიიღოთ.

ეს აზრი ძირიანად შემცდარია. ხელოვნების საბოლოო მიზანი ცხოვრების შეცნობაა, მეცნიერებისაგან იგი მხოლოდ მეთოდით განსხვავდება, ყოველი ხელოვანი მწერალი მეცნიერთან ერთად ცხოვრების შესწავლას ემსახურება, მაშასადამე იგი ქმნის ერთგვარ ობიექტიურ ღირებულებებს. ამავე დროს იგი ხშირად თავისი წარმომშობი კლასის სასარგებლოდ ერთგვარ სუბიექტურ განხრასაც აკეთებს. (არას ვლაპარაკობ ისეთ შემოქმედებაზე, რომელნიც თავიანთ კლასს გადაუდგებიან). მენდელეევი ქიმიაში რუსის ხალხისა და მთელი კაცობრიობისათვის უდიდეს მეცნიერულ აღმოჩენებს ახდენდა, პოლიტიკაში კი მემარჯვენე იყო და თავის წოდებას იცავდა. მაგრამ ამისათვის მის აღმოჩენათა უარყოფა არავის ფიქრადაც არ მოსვლია.

მენდელეევი თავის ობიექტიურ მიღწევებით ყველა კლასისათვის სასარგებლო მუშაკი იყო. გოგოლმა ბატონყმობის გულშემხარავი სურათი გადაშალა, მაგრამ აზროვნებაში ამ წესწყობილებას გაცოფებით იცავდა. არც გოგოლი უარუყვია ვინმეს ამისათვის.

და რაც სხვას არ მოუხდენია, ჩვენ რად უნდა ჩავიდინოთ? რისთვის უნდა უარვყოთ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ყაზბეგი და სხვ.? მათი შემოქმედების წყალობით ყოველმა ქართველმა მუშაა ის თუ არა მუშა—შეისწავლა ჩვენი სინამდვილე და შეიცნო თავისი მტერი და მოყვარე. მართალია, ყველა მათგანს დიდად თუ პატარად უსათუოდ ჰქონდა თავისი წოდების სასარგებლო სუბიექტიური გადახრა, მაგრამ ქართველმა მშრომელმა მათი შემოქმედებიდან მხოლოდ ის მიიღო, რაც მისთვის იყო საჭირო და ობიექტიური.

გარდა ამისა, ამ მგოსანთა დამსახურება იმითაც განუზომელია, რომ ისინი თვითცნობიერებას აღვივებდენ დაპყრობილ ერში და განთავისუფლებისკენ მიაქანებდენ თვითმპყრობელური იმპერიალიზმის მიერ დამონებულ ქართველობას. მართალია, ისინი თავისი წოდებრივი თვალსაზრისით იწყებდენ, მაგრამ მათი ჰორიზონტი თანდათან ფართოვდებოდა და საბოლოო ანგარიშში მთელი მათი მოღვაწეობაც მეფის იმპერიალიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

რისთვის თანაუგრძნობთ ჩვენ დღეს ჩინეთის რევოლუციას და მის იდეოლოგებს? ყოველი ჩინელი მგოსანი, რომელიც მასების თვითცნობიერებას ემსახურება, ასპროცენტიანი ფეოდალიც რომ იყოს, დღეს ჩინეთში რევოლუციონურ საქმეს აკეთებს. ეს უნდა იცოდეს პატივცემულმა რეცენზენტმა, რომელიც აგრე მსჯელობს ურთულეს ლიტერატურულ საკითხებზე და, ასე გასინჯეთ, მარქსისტობის დიპლომის დარიგების პრეტენზიებიც კი აქვს.

ეგების ეს საკითხები არ იყოს ჩემს წიგნში აღძრული და შეძლებისდაგვარად გარკვეული? ვნახოთ. 187 გვერდზე მიწერია: „ყოველი მწერალი, რასაკვირველია, რომ განსაზღვრულ კონკ-

რეტ პირობებში (ლაპარაკია ბარათაშვილის კლასიურობაზე) ჰქმნის თავის თხზულებებს, მაგრამ განა შეიძლება იმისი თქმა, რომ თითეულ საზოგადოებრივ ჯგუფს მარტო თავისი პირადი ინტერესები აქვს, მისი შემოქმედება მხოლოდ და მხოლოდ ეგოისტურია და საერთო საკაცობრიო მომენტს არ შეიცავსო.

ყოველ კლასს თავის ნაგრძნობ-ნააზრევში, გარდა პირადად მისთვის სასარგებლო მომენტისა, ობიექტიური და ყველასათვის საჭირო რაღაცაც აქვს, საკაცობრიო კულტურის სალაროში მასაც შეაქვს ყოველი ადამიანისათვის სასარგებლო რაღაც წვლილი“ და სხვა. ჩვენი მგოსნების კლასიურ გადახრის შესახებ მე მრავალგზით ვლაპარაკობ, მაგალითად, 112 გვერდზე ვწერ: „ჩვენს მამებს წოდებრიობა მთელი ცხოვრების ქვაკუთხედად მიაჩნდათ, მაშასადამე, აზროვნება ფეოდალური რჩება“. ასეთივე აზრია გატარებული მიმყოლე 117 გვერდამდე. ამავე აზრს ვეხები 75 და 126 გვ.

ჩემს რეცენზენტს რომ ოდნავი მიუდგომლობის უნარი გამოეჩინა, დარწმუნებული ვარ, არ დასწერდა იმას, რაც მან ინება. იგი პედაგოგს ირქმევს და პედაგოგს კი მიუდგომლობა უნდა ახასიათებდეს.

ეგების მწერალთა ასეთი შეფასება ჩემი გამოგონილი იყოს. პატივცემულ რეცენზენტის საცოდნათ უნდა ვსთქვა, რომ მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსები—ლენინი, პლეხანოვი, ლუნაჩარსკი, ვორონსკი და სხვები სწორედ ასეთნაირად უდგებიან ამ ფრიად დიდ საკითხებს.

ამხ. ფ. მახარაძეც ამავე აზრის არის, მწერალთა ყრილობაზე მან სთქვა: „საერთოდ რომ ვსთქვათ კულტურა, ხელოვნება თავის თავად ყოვლად შეუძლებელია, რომ ეს რომელიმე წოდებას ეკუთვნოდეს, ბურჟუაზიული კულტურა, ბურჟუაზიული ხელოვნება, ვამბობთ ჩვენ,—მაგრამ ეს არ გამოხატავს სინამდვილეს. ყოველად შეუძლებელია კულტურა, ტეხნიკა, ხელოვნება რომელიმე წოდებას ეკუთვნოდეს“ და სხვ. (გვ. 21 „ქართველ მწერალთა ყრილობა“—1926 წ.).

ჩემო რეცენზენტო, გამოტეხით გეუბნებით: თქვენს აზრს აქ ჩამოთვლილ მოაზროვნეთა აზრები ვამჯობინე და კარგს იზამთ, თუ არ გამირისხდებით.

„ზოგჯერ ეთი და იგივე მწერალი რამდენიმე მიმართულების მომხრეთ გამოყავსო“, მისაყვედურებს ჩემი კრიტიკოსი, რომელსაც ჰგონია, რომ მწერალი ყოველ ცალკე ნაჭარმოებში ერთ და იმავე აზრს ატარებს, არა აქვს განვითარების პერიოდები. და თანაც მომქმედი პირი თითონ ავტორი ჰგონია, მისთვის თათქარიძე ი. ჭავჭავაძეა, პედაგოგო, თქვენი ცოდნა აქაც ორივე ფეხით კოჭლობს.

ილია ჭავჭავაძეს გრ. ორბელიანმა „სხვათა უმნიშვნელო სიახლისათვის სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა“-ო, ამბობს რეცენზია. ილია ჭავჭავაძე და „უმნიშვნელო სიახლე!“ მწერალი, რომელმაც მთელი ქართული ლიტერატურა გაავროპიელა (რასაკვირველია, სხვებთან ერთად) და ეს „განდეგილი“-თ დაასრულა, რეცენზენტის აზრით უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო სიახლის შემომტანია. თუ ეს პედაგოგი მართლა პედაგოგია, ასეთ საპასუხისმგებლო რეცენზიებს კი არ უნდა სწერდეს, არამედ მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე უნდა გაიგზავნოს.

მას არ უყვარს, რასაკვირველია, გრ. ორბელიანიც და ჩემზე სწერს—რეკლამას უკეთებსო ნუ თუ არ იცით, რომ „მუშა ბოქულაძის“ ავტორს და „საღამო გამოსალმებისა“-ს შემქმნელს არავითარი რეკლამა არ სჭირდება?..

რეცენზენტი არც ალექსანდრე ჭავჭავაძის შეფასებაში მეთანხმება. ნება მისია, მე კი ვითხოვდი აეხსნა ჩემთვის ამ მგოსნის შემდეგი ლექსები: „ვა დრონი“. „უწყალო სენმან“ „ვისაც გსურთ“. „პყრობილისაგან“. „ისმინეთ მსმენო“ და სხვ. ხოლო თუ ამდენ შრომას მოერიდება, ერთი ლექსი, ერთი ტაეპი მაინც ამიხსნას--აი ესა:

რომელნიც ამწუხრებთ ღარიბ ცხოვრებას
და სთხოვთ ურცხვად. უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორობას.
არა მარადის იშვათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

და როდესაც ამას დამავალებს, თანაც დამიმტკიცოს, რომ მწერლის შემოქმედების შესასწავლად არაა საჭირო ეპოქა, ბიოგრაფია და თითონ მისი ნაწერები; ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტები ფაქტებისვე დაპირისპირებით დამირღვიოს და... მისი ხმალი და ჩემი კისერი. მანამდე კი ზევით ჩამოთვლილ სიბრძნეთა პატრონ ადამიანს ვერაფერში დავეთანხმები.

ავტორს შოყავს ჩემი წიგნიდან ერთი ადგილი და დასძენს: „ეს ნიკ. ბარათაშვილის ნაციონალიზმის გამართლებაა"-ო. ნამდვილმა და არა ვაი—მარქსისტმა უნდა იცოდეს, რომ ლიტერატურის ისტორია მწერალს არც ამართლებს და არც ამტყუნებს, ეს არაა სამსჯაროო, აქ მხოლოდ ლიტერატურულ ფაქტებს ახსნიან. ასე გვისწავლია პლეხანოვისაგან.

გარდა ამისა, თუ გამართლებაზეა საქმე, მე ამჟამად ვაცხადებ, რომ „ბედი ქართლისა" და „მეფე ირაკლის საფლავზე"-ს დამწერს ყველაფერში ვამართლებ. არა თუ მარქსისტს, არამედ არც ერთ შეგნებულ ადამიანს არ შეუძლია სთქვას ამის წინააღმდეგ რაიმე და, თუ რეცენზენტი მაინც ამტყუნებს ბარათაშვილს, ეს მისი უცოდინარობის ბრალია.

ზოგ მწერალთა შეფასება პატარაოო და მთელ დემაგოგიას აშენებს ამაზე. ჩემი წიგნის მე-4 გვ. კი ასეთი გაფრთხილებაა მოთავსებული: „ჩვენს წიგნში ზოგიერთი ახალი მწერალი ისეთი სივრცით არაა დაფასებული, როგორც მის შემოქმედებას შეეფერება, ამის ადგილი ლიტერატურის სისტემატიურ კურსშია, ჩვენი ნაშრომი კი ერთი რომ სკოლებისათვისაა ნავარაუდევი" და სხვ. ეს იმიტომ დავსწერეთ, რომ წიგნში უმთავრესად ისეთ მწერლობაზეა ლაპარაკი, რომელთა ნაწერებს სკოლებში სწავლობენ, ხოლო დანარჩენები სხვათა შორის არიან მოხსენებულნი. ასეთ ხერხს ხშირად აქვს ადგილი საერთო მიმოხილვის სახის წიგნებში და მოვლენათა მთლიანობისათვის მეც ასე მოვიქეცი. რეცენზენტმა კი ჩემი გაფრთხილება დამალა და ისე მასმართლებს. რა ეწოდება ასეთ ხერხს?

შ. არაგვისპირელის და სხვების მუშათა განყოფილებაში მოქცევა ბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომაა და მეტი არაფერი.

ჩემი წიგნის მიზანი იყო დაწურულად მომეცა ქართული ლიტერატურის ფაქტები საზოგადოებრივ მოვლენების ნიადაგზე, შეკუმშულად გადმომეცა ყოველი მწერლის შემოქმედების მთავარი ნაკადი, სხარტულად გამერკვია თითეული ცალკე ნაწარმოები და ამხაირად მკითხველისათვის წარმოდგენა მიმეცა ჩვენი ლიტერატურის მამოძრავებელ საკითხებზე. ყველა საკითხები ამ თვალსაზრისით არის გამახვილებული. წიგნის ბოლოში, მწერლის მთლიანი სახის აღსადგენად ორნაირი საჩვენებელიც მოვათავსეთ. მიუდგომელი ადამიანი ამ მხრივ უნდა მიუდგეს წიგნს და მერე უნდა იკითხოს: ვაღწევ თუ არა მე მიზანს.

ჩემი რეცენზენტი კი განგებ თვალს იბრმავებს და საზოგადოებაც შეცდომაში შეყავს. დაკვირდით თუ ეს აგრე არ არის: იგი სწერს: „მოვითხოვთ სახელმძღვანელოს გადამუშავებას და მხოლოდ ამის შემდეგ მიგვაჩნია ის სკოლებისათვის მისაღებ დამხმარე წიგნათ"-ო როგორც ვნახეთ, რეცენზენტი არ მეთანხმება თითქმის ყველა ჩვენი დიდი მგოსნის დაფასებაში, რეცენზიას ერთ ადგილას კიდეც მოითხოვს, რომ კომისარიატის მეთოდ-ორგანოს მიერ მიღებული ჩემი წიგნი აკრძალულიც კი იქნას. იქვე ამბობს: „ვერ გაგვიგია, თემატიურ განხილვაში რას გულისხმობს ავტორი"-ო, ე. ი. ვერ გაუგია, წიგნის სული და გული, თანაც ამდენ უვიცობას იჩენს ლიტერატურულ საკითხებში და ბოლოს მაინც წიგნის გადამუშავებას მოითხოვს. საკითხავია,— რისთვის ვარდება რეცენზენტი ასეთ წინააღმდეგობაში. რა ამოქმედებს მას.

„ჩვენი მიზანია მიუთითოთ... ხუროძის სახელმძღვანელოს უარყოფით მხარეებზე" სწერს ბოლოში. მაშ ხუროძის სახელმძღვანელოს დადებითი მხარეებიც ჰქონებია. ყოველი პატიოსანი კრიტიკოსი ვალდებულია აღნიშნოს წიგნის ავიცა და კარგიც, თქვენ კი, მოკ. რეცენზენტო, ცალმხრივად იქცევით და მით უბრალოო ლიტერატურულ ეთიკას ფეხქვეშ თელავთ.

ჩვენი წიგნის ღირსება და ნაკლი თქვენზე უკეთ ვიცით და როცა შესაძლებლობა მოგვეცემა, კიდეც შევასწორებთ მას. თქვენ კი არ შეგიძლიათ მომთხოვოთ მისი შესწორება: ამის უფლება არ დაგიმსახურებიათ არც საკითხების ცოდნით და არც ლიტერატურულ ზნეობით.

ვარლამ ხუროძე

«Печать и Революция». Журнал литературы, критики, искусства и библиографии. декабрь 1917. книга восьмая.

ხსენებულ ნომერში მოთავსებული წერილები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ხელოვნების საკითხებით დაინტერესებულ ქართველ მკითხველისათვის, „Печать и Революция" იმით განირჩეოდა ყოველთვინ სხვა ჟურნალებიდან, რომ ის საპატიო ადგილს უთმობს მკრეხერთა მხატვრულ შემოქმედების შესამჩნევ ფაქტების განხილვა-პოპულარიზაციას.

საბიბლიოგრაფიო ნომერში მოთავსებულ მეტ-დ საინტერესო წერილთა შორის ჩვენს ყურადღებას იპყრობს პ. ს. კოგანის და ტუგენდ-

ხოლდის სტატიები ქართულ წიგნსა და მხატვრობაზე. როგორც ვიცით მხატვრულ მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის მიერ მოწყობილ იქნა „ს. ს. ს. რ. ხალხთა ხელოვნების გამოფენა". როჰლის წიგნის განყოფილებასაც ეხება კოგანის წერილიც.

ავტორის გადმოცემით გამოფენაზე წამოდგენილ იქნა 50 სხვადასხვა ენაზე დაწერილი ლიტერატურა. ამათ შორის არის ნ. წარმოები ისეთ ხალხების, რომელნიც რევოლუციამდე წარმოადგენდენ „ცივილიზაციისათვის მკვდარ, მუნჯ და პირველყოფილ კულტურის საფეხურზე მდგომ ადამიანთა კრებულს. (ძორდვინები, კომი, ოირატები, კალმიკები, ხაკასები, ადიგეელები, ბოშები და სხ.) ასეთი სურათი იყო წარსულში და ამ ჟამად კი ტუნგუსებსაც აქვთ თავის წიგნი. დაწყებულმა კულტურულმა რევოლუციამ, (ხადია, უნდა გააღრმავოს და საჭირო დონემდე უნდა აიყვანოს, ეს ისტორიულ მნიშვნელობის საქმე.

გამოფენის ეროვნებათა განყოფილებაში წარმოდგენილი ყოფილა 2000 სახელწოდების წიგნი, რაც იმას ნიშნავს რომ ყოფილ ჩაგრულ ეროვნებათა განკარგულებაში მოიპოვება მხატვრულ და სამეცნიერო ნაწარმოებთა მილიონი ტომები. მაგრამ გამოფენა ილუსტრაციაა წიგნის არა მხოლოდ რაოდენობითი ზრდის, არამედ ის ხაზს უსვამს იმ ინტენსიურ შემოქმედებითი მუშაობას, რომელსაც ეწევიან სხვადასხვა ეროვნებები. როგორც ვიცით, თითქმის ყოველგან არსდება ლიტერატურული გაერთიანებანი და სწარმოებს გაცხოველებული საორგანიზაციო მუშაობა. ავტორის სიტყვით „ყველა ამ ლიტერატურულ გაერთიანებათა ჩამოთვლა ძნელია-მაგრამ მსხვილ ერთეულების არ მოხსენება შეუძლებელია". ასეთ შესამჩნევ და მსხვილ ერთეულს წარმოადგენს, ავტორის სიტყვით, საქართველოს მწერალთა კავშირი, რომელიც აერთიანებს 300 მწერალს.

პროლეტმწერალთა ასოციაციის, „არიფიონის" და სხვა ჯგუფებთა განხილვის შემდეგ კოგანი გადადის „ცისფერ ყანწელთა" და ქართველ ფუტურისტების სოციალ-პოლიტიკურ ბუნების ანალიზზე და ასკვნის, რომ პირველები ე. ი. „ყანწელები" ანსახიერებენ ნაციონალ-შოვინისტურ ტენდენციებს". ხოლო ფუტურისტები არიან წვრილ ბურჟუაზიულ და ხაციონალურ ინტელიგენციის ტენდენციების გამომსახველნი"-ო

ამ დახასიათებაში ბევრი რამ სადაოა, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს.

ქართულ ლიტერატურის განვითარების მიმოხილვაში კოგანი მწუხარებით აღნიშნავს, თუ რა ცუდად ვიცნობთ ჩვენ ზოგჯერ საკუთარ ქვეყნის სულიერ სიმდიდრეს. „ყველი განათლებული კაცი, ამბობს ავტორი, სირცხვილად მიიჩნევს, რომ არაფერი იცოდეს დანტესა და ბაირონის შესახებ, მაგრამ განა ბევრია ჩვენში ისეთები, რომელთაც გაუგონიათ სახელი გენიალურ რუსთაველის, რომელსაც ევროპიული კრიტიკოსები ადარებენ დანტეს და გოეთეს? , ან ქართველ ბაირონის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი? საეჭვოა, რომ ვინმემ, განათლებულ პირთა შორის, რომელთაც აქვთ წარმოდგენა ევროპის ლიტერატურის განვითარებაზე იცოდეს რომ მე-XIX-ე საუკუნის საქართველოში, რომანტიზმს, რეალიზმს, სიმბოლიზს, ფსიქოლოგიურ რომანს და სხვ. ჰყავდა ისეთი ნიჭიერი წარმომადგენლები, რომელთა დასახელება შესაძლებელია ევროპის კლასიკების გვერდითო წერილის დანარჩენი ადგილები ეხება უკრაინის, თათრების, ადერბეიჯანელების და სხვათა ლიტერატურულ დაჯგუფებებს—მათი შემოქმედების ანალიზს.

ტუგენდხოლდი თავის წერილში „Искусство народов СССР", სწერს რომ „გამოფენაზე საქართველოს ხელოვნება გახდა ყურადღების ცენტრიო. დიდ მოვლენად გარდაიქცა კერძოდ ნიკო ფიროსმანიშვილი. რუს მკითხველს შეიძლება არც კი გაუგონია ეს სახელი, მაგრამ თუ თანამედროვე საფრანგეთი ამაყობს თავის გენიალურ პრიმიტივით ანრი რუსოთი, საქართველოს შეუძლია დაუპირდაპიროს ფრანგებს თავის გენიალური ფიროსმანიშვილი"-ო. ავტორს კარგად აქვს გაგებული ფიროსმანის სიდიადე. მისი გენიალური მხატვრული პოტენცია და ამიტომ გრ. რობაქიძესთან ერთად იმეორებს, რომ „ხედავ ფიროსმანს და გგჯერა საქართველოს"-ო. ტტანიურ შემოქმედებით სტიქიის მატარებელი ფიროსმანის სათანადო გაგება დაფასება მომავლის საქმეა, მაგრამ ის პაციისცება, რომელიც მას დაუმსახურებია ხსენებულ გამოფენაზე თავდებია იმის, რომ გენიალური პრიმიტივი უსათუოდ დაიკერს ისტორიის მიერ მისთვის კუთვნილ ადგილს.

შემდეგ ავტორი ეხება თოიძეს. ახლედიანს, კაკაბაძეს, მაყაშვილს და ბოლოს ჩერდება ლადო გუდიაშვილზე, რომლის შესახებ იმეორებს მორის ოაინალის მიერ თქმულ სიტყვებს.

რაინალმა კი სთქვა შემდეგი: „ფრანგულ ხელოვნების სუპრემატია ჩვეულებრივ აიძულებს უცხოელ მხატვრებს, შესწიროს პარიზს თავის ეთნიური ხასიათი. მალე შეუძლებელი გახდება იაპონურ, ესპანიურ და რუსულ ხელოვნების ერთიმეორისაგან განსხვავება... გუდიაშვილის დიდი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ ის პარიზში დარჩა ქართველად და ბოლომდე შეინარჩუნა თავის ეროვნული მგრძნობელობა"-ო

ეს ციტატა გასაგებად ხდის ტუგენდხოლდის დამოკიდებულებას გუდიაშვილისადმი. წერილის დანარჩენი ნაწილი ეხება უკრაინულ, თათრულ, ებრაულ და სხვათა მხატვრობას.

ხსენებულ წერილების გარდა ჟურნალში არის სხვა მრავალი საინტერესო მასალები ასეთია გორბოვის წერილი: „10 лет литературы за рубежом" К. Локс. „Современная проза და К. Григорьев „Кризис формализма".

ეს უკანასკნელი წარმოადგენს ფორმალისტების თეორეტიკოსის ეიხენბაუმის წერილების შინაარსის კრიტიკულ გადმოცემას.

მეტად საინტერესოა ბ. რეიხის წერილი მარსელ პრუსტზე, რომელიც ავტორის სიტყვით „ლურჯი პირანდელოს და ჯოზეფ კონრადისთან ერთად, დიდი ხანია ბატონობს ევროპის ბაზარზე"-ო. სხვათა შორის მარსელ პრუსტი ის ბედნიერი მწერალია, რომლის ერთერთ ნაწარმოებსაც ამშვენებს თვით ანატოლ ფრანსის წინა სიტყვაობა—დიფირამბი.

საერთოდ „Печать и Революция" და კერძოდ ეს ნომერი ყურადღების ღირსია.

ლა-ზაძე.

შეცდომის გასწორება: „განათ. მუშაკის" № 9-ში მოთავსებულია ბიბლიოგრაფია „ჩირაღდანი"-ს შესახებ და ერთ ავტორად დასახელებულია პ. აფხაიძე. უნდა იყოს **პ. აფხაძე.**

კითხვა-პასუხი

კითხვა: განათლების კავშირს ოთხი წელიწადია, რაც დაარსებული აქვს ურთიერთდამხმარე სალაროები, როგორც ქალაქად ისე სოფლად (რაიონებში).

გარდა განათლების კავშირისა ჩვენს მაზრაში არის სხვა კავშირებიც, რომლებსაც რაიონებში ურთ. დ. ს-როები არა აქვთ გარდა ერთი კავშირისა (საბჭოთა და სავაჭრო), რომელსაც მხოლოდ ერთ რაიონში აქვს ურთ. დ. ს-რო და ისიც გვიან დაარსებულია (თანხა მცირე აქვს).

სამაზრო პროფ-ბიუროს ჯერ კიდევ გასულ წელს განიზრახა ურთიერთ დამხმარე სალაროების გაერთიანება ყველა კავშირებისათვის, მაგრამ ჩვენ, განათლების კავშირი, წავედით ამის წინააღმდეგი და გაერთიანება აღარ მომხდარა.

წელს კიდევ სვამს პროფ-ბირო ამ სალაროების გაერთიანების საკითხს და განზრახვა აქვს რომ აუცილებლად გაატაროს ეს ცხოვრებაში.

ჩვენ, განათლების კავშირი, ეხლაც წინააღმდეგი ვართ ამ გაერთიანების, რადგან ამითი დაზარალდება ჩ/კავშირის ურთიდ. ს-რს წევრები.

გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი აზრი ამ საკითხის შესახებ.

ილ. კბილაძე. (განყ-ბის-თრ)

უხი: ურთიერთ დამხმარე სალაროები ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა და მათი გაერთიანება არ შეიძლება თუ ამას არ დაადგენს თქვენი სალაროს წევრთა საერთო კრება.

კითხვა: მიეცემა თუ არა რამე შეღავათი უნივერსიტეტში შესვლის დროს დამსახურებულ მასწავლებელს, ისიც პედაგოგიურ დარგში, თუ სათანადო საბუთი ექნება. (იგულისხმება გამოცდების დროს).

რ. ჯ.

პასუხი: გამოცდების დროს არავის არავითარი შეღავათი არ ეძლევა. გამოცდების შემდეგ კი მიმღები კომისია უპირატესობას მისცემს კავშირის წევრს იმათ შორის, ვინც ერთნაირ ცოდნა-მომზადებას გამოიჩინეს.

კითხვა: საშუალო სასწავლებელი დავამთავრე 1922-23 ს. წ. მაკვს 5 წლის სამასწავლებლო სტაჟი.

გთხოვო გვიპასუხოთ: გეძლევა თუ არა უფლება მისაღებ გამოცდების გარეშე ჩავირიცხოთ სტუდენტად სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ ფაკულტეტზე და სახელდობრ რომელ ფაკულტეტზე.

მასწ. ანთიძე.

პასუხი: მისაღებ გამოცდების გარეშე **არავის არც ერთ ფაკულტეტზე** არ ღებულობენ უნივერსიტეტში. გამოცდებისაგან განთავისუფლების შეღავათი არავისათვის არ არსებობს.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ა. მიქაძე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

1. პარიზის კომუნა 1
2. **პ. ხობუა:** თესვის კამპანია და განათლების დაწესებულებათა ამოცანები 3

პროფესიონალური ცხოვრება

3. **მ. აპლეტინი:** განათ. მუშ. ინტერნაციონალის აღმასკომის მე-III სესიაზე 7
4. **მ. სტეფანოვი:** ტფილისის პოლიტგანის ბიბლ. და სამკ. მუშაკთა უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობა 11

ადგილებიდან

5. მუშაობა გამოცოცხლდა 14
6. შორაპნის მაზრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ხელმძღვანელთა კონფერენცია 15

ადგილკომების მუშაობა

7. პატარძეული გვ. 16; 8. ღანირ-ქვიტირი და ჰაგნის თემი 16

ახალი სკოლის საკითხები

9. **ბ. კიზირია:** როგორ უნდა იქნეს დამუშავებული ახალი კომპლექსიური პროგრამები 17
10. **ვლ. ზამბახიძე:** ფრეიდიზმი 21

სკოლის გარეშე განათლება

11. საგამოცდო პროგრამები საბიბლიოთეკო მუშაკის წოდების მისაღებად . 27

სახალხო განათლების მოღვაწენი.

12. დამსახურებული მასწ. ვლ. გაგუა 29
13. ჰარრიეტ ბიჩერ-სტოუ 30

ხელოვნება

14. სრ. საქ. მწერალთა ყრილობა 31

ოფიციალური განყოფილება

რეზოლუციები საქ. განათ. მუშაკთა კავშირის რესპუბლიკანური კონფერენციისა

15. განათ. მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობის მუშაობის შესახებ . . 33
16. კავშირის მასიური მუშაობის შესახებ 36
17. კავშირის ფინანსიური მუშაობის შესახებ 38
18. საექსკურსიო მუშაობის შესახებ 40
19. მასიურ ეკონომიურ მუშაობის შესახებ 41
20. მოძრავი ბიბლიოთეკების ორგანიზაციის შესახებ 41

ბიბლიოგრაფია

21. **ვ. ხუროძე:** წერილი რედაქციის მიმართ 43
22. **ლა-ზაძე:** Печать и революция 45

კითხვა-პასუხი 47



— ვა, ტამრიკო! შემოიარე კრუგომ—კრუგომ, ზდეს ნე პროიდიოშ, ტუტ ტალახია კალო!

ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატში

მიიღება ხელისმოწერა

განათლების სახალხო კომისარიატის უმუალოთ ზედამხედველობით

ჟურნალზე

„ახალ სკოლისაკენ“

1928 წლისთვის

გადაგზავნით 3 მან., გადაუგზავნელად 2 მან. 50 კ.

იძვე შეიძლება ჟურნალის წინა წლების კომპლექტების შეძენა

1927 წლის ნომრები აღარ იშოვება

1926 წლის კომპლექტი ღირს . . . . . 3 მან.
1924—25 წლის კომპლექტი ღირს . . . . . 2 მან.

რედაქციის მისამართი

ტფილისი. რუსთაველის პრ. 31, განათლების სახალხო კომისარიატი.

„ახალ სკოლისაკენ“.

გ 20 მუ
1928/2

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და იყიდება

ლიტერატურული საშუალები

სახელმძღვანელო ლიტერატურული თემების, მოხსენებების და რეფერატებისათვის

მოკლე ლიტერატურული ლექსიკონით. შედგენილი **თ. ბეგიაშვილის მიერ.**

212 გვერდი ფასი 1 მანეთი და 20 კაპიკი.

მსურველებმა უნდა გამოიწერონ „განათლების მუშაკის“ რედაქციიდან და გაუგზავნით ჩვენი ხარჯით. შეიძლება ნახევარი ღირებულების ფასდადებითაც.



სტამბა „ზარია ვოსტოკა-“სი, წულუკიძის ქუჩა, № 4.

შეკვ. № 991 მთავლ. № 551 ტირაჟი 2500